გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№86 (1112) 31 ივლისი – 2 აგვისტო, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ექსკლუზიური ინტერვიუ დიდი ბრიტანეთის ელჩის მოადგილესთან

ჯონ გედესი: „მოკლე დროში უდიდესი მანძილი დაფარეთ ევროპისკენ მომავალ გზაზე, ამით ძალიან უნდა იამაყოთ!“

გვ. 7

ექსკლუზიური ინტერვიუ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარესთან



გვ. 3–4

როგორ აფასებენ საერთაშორისო ექსპერტები სააგენტოს პირველ დასკვნას

გიორგი ბარამიძე ნავთობკომპანიების ბრალდებებს პასუხობს

ქადაგიძეს აბაშიშვილი შეცვლის?

მარგველაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის საერთო ინტერესი

გვ. 2

ბაკურიანში ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია იწყება

თიბისი ბანკი TBC BANK

სამედიცინო ექსპერტის სკანდალური ჩვენება

სპეციალური რეპორტაჟი სასამართლო პროცესიდან

„ის, რაც ჭვანიას თავის დათვალიერებისას შევამჩნიე, დასკვნაში არ ავსახე და არც ჩაჩუასთვის მითქვამს“

გვ. 5

არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიცია“ სკანდალურ დოკუმენტებს ასაჯაროებს

როგორ იბირებენ ნაციონალები მოზარდებს პოლიციაში და რა საერთო აქვს ცეზარ ჩოჩელს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბანაკებთან?!

გვ. 6

№116 სკოლის ახალი დირექტორი სკოლაში შიდა აუდიტის შესვლას ითხოვს

ნანა ღაჭავა: „პედაგოგებს ყველანაირად მხარში დავუდგები“

ქადაგიძეს აბაშიშვილი შეცვლის?

რა საერთო ინტერესები აქვთ მარგველაშვილს და ნაციონალურ მოძრაობას

ლაშა სვანიძე

მონეტარული პოლიტიკის განხორციელების სათანადო ინსტრუმენტების ქონა ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტიასა და შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის დასაცავად მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს. რაც უფრო მაღალი ლეგიტიმაციით აირჩევა მსგავსი ინსტიტუტების ხელმძღვანელობა, მით მეტი პასუხისმგებლობა არსებობს მათი მხრიდან უშუალოდ საზოგადოებრივი ინტერესებისადმი.

მთავრობის მიერ მომზადებული კანონპროექტი ფინანსური მონიტორინგის სამსახურის სააგენტოს საბჭოს დაკომპლექტების, ხელმძღვანელის არჩევის, წევრთა კვალიფიკაციის, შიდა და გარე აუდიტის და მისი მოწყობის სხვა საკითხები იმეორებს ევროპულ სახელმწიფოთა საუკეთესო პრაქტიკას. ანალოგიური მოდელები მუშაობს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საფრანგეთი, ავსტრია, ნორვეგია, შვედეთი და ა.შ.

საქართველოს მთავრობამ ამ პროექტზე საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა 80% გაითვალისწინა. კანონპროექტი ყველა საერთაშორისო ნორმასა და სტანდარტს აკმაყოფილებს; მეტიც — ცვლილებებს მხარს უჭერს საქართველოს ბანკების ასოციაცია, რომელიც პროცესის ერთერთი მთავარი მოთამაშე ძალაა.

ცხადია, ამ ფონზე უცნაურად გამოიყურება კანონპროექტისთვის პრეზიდენტის მიერ გამიზნული ვეტო და მისი ადმინისტრაციის დაუსაბუთებლად ნეგატიური რეაქცია პირველივე დღეებიდან. პრეზიდენტის მრჩეველი, გიორგი აბაშიშვილი კანონპროექტის წინააღმდეგი იყო ჯერ კიდევ მის გაცნობამდე — მან არ იცოდა, როგორ მოდელს სთავაზობს მთავრობა პარლამენტს, მაგრამ აქტიურად აკრიტიკებდა თავიდანვე.

რა თქმა უნდა, მთავრობას შეუძლია პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა, მაგრამ ეს მხოლოდ აფერხებს პროცესს და ახანგრძლივებს იმ პერიოდს, როდესაც სათანადო ინსტიტუტების არქონის გამო ლარით მანიპულაციებისათვის ხელსაყრელი გარემოა შექმნილი — ეს მოსახლეობისთვის ჯიბიდან დამატებითი თანხის დაკარგვის საშიშროებას ქმნის. ამ ფონზე პრეზიდენტის ვეტო სპეკულაციებისთვის ანთებულ მწვანე შუქს ნიშნავს.

საინტერესოა ის ფაქტორიც, რომ პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის პოზიცია ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით, პრაქტიკულად თანხვედრაშია.

პრეზიდენტი, ნაციონალური მოძრაობის მსგავსად, ენერგიულად ეწინააღმდეგება ეროვნული ბანკის შესახებ კანონს (ეროვნული ბანკიდან საბანკო ზედამხედველობის სამსახურის გამოტანას) მაშინ, როცა კანონში საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი რეკომენდაციები გათვალისწინებულია და პრაქტიკულად აღარ არსებობს ლოგიკური არგუმენტები პროექტის წინააღმდეგ.

ცვლილებების განხილვისას, პარლამენტისთვის ალტერნატიული პროექტის წარდგენას გეგმავდა ნაციონალური მოძრაობა, ამის შესახებ მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, თუმცა ცვლილებების პროექტი საკანონმდებლო ორგანოსთვის საპარლამენტო უმცირესობას არ წარუდგენია. სამაგიეროდ, პარალელურ რეჟიმში პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მოამზადა ცვლილებების პაკეტი, რომელიც აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი ალბათობით, ზუსტად იმეორებს ნაციონალური მოძრაობის მიერ მოაზრებული პროექტის სულისკვეთებას.

ცხადია, ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, საკუთარი ინტერესი გაატაროს და ძალები მოსინჯოს სხვადასხვა პოლიტიკურ ფიგურებთან. თუმცა, მოულოდნელი ის იყო, რომ ყველაზე კარგი მოკავშირეები ყოფილი მმართველი გუნდის წარმომადგენლებს გიგა ბოკერიას და გიორგი ქადაგიძეს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აღმოაჩნდათ;

დღეს არსებული მოდელით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ქვეყნის პრეზიდენტი ამტკიცებს და რამდენადაც ფინანსური მონიტორინგის ყველა ორგანო ბანკშივეა თავმოყრილი, ბანკის პრეზიდენტს მასზე შეუზღუდავი გავლენა გააჩნია. ამ პირობებში ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სკამს იოლად დაიკავებს მარგველაშვილის მრჩეველი, გიორგი აბაშიშვილი, რომელიც „ტაბულას“ ყოფილი ავტორი, შაშკინის პირადი მეგობარი და ნაციონალური მოძრაობის ლიბერალური ფრთის პოზიციების გამზიარებელია. შესაბამისად, არსებული მოდელის დატოვება მომგებიანია როგორც პრეზიდენტისთვის, რომელიც პარლამენტს არ დაუთმობს მონეტარული პოლიტიკის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირების არჩევის უფლებას, ისე ნაციონალური მოძრაობისათვისაც — მას საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გამზიარებელი და მათი გუნდის წევრი ეყოლებათ ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ქადაგიძის ვადის ამოწურვის შემდეგაც.

ამიტომ, გასაკვირი აღარაა, რომ მარგველაშვილი გიორგი აბაშიშვილთან ერთად პროექტზე მუშაობის პერიოდში არაფორმალურად შეხვდა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს, რადგან მარგველაშვილი მის ეკონომიკურ მრჩეველს გიორგი ქადაგიძის შემცვლელად ამზადებს. ოფიციალურად კი, პროექტის საკუთარი ვერსია პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მხოლოდ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს გააცნო, რომლებიც თავიდანვე ეწინააღმდეგებოდნენ ეროვნული ბანკიდან საფინანსო ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფას.

ლოგიკური იქნებოდა, პრეზიდენტს ეს პროექტი პირველ რიგში პროფილური ორგანიზაციებისთვის გაეცნო — ბანკებისათვის, რომლებსაც უპირველესად შეეხება ახალი კანონი. თუმცა ადმინისტრაციაში შეხვედრაზე ბანკების ასოციაცია მიწვეული არ ყოფილა. სამაგიეროდ მოწვეული იყო ის არასამთავრობო ელიტა, რომელიც წლების განმავლობაში დადიოდა მსგავს შეხვედრებზე წინა ხელისუფლების პირობებშიც. ამ ყაიდის არასამთავრობო ორგანიზაციები რაიმე, მნიშვნელოვანი კანონპროექტის მიღებისას მის ცალკეულ დეტალებს ისე აკრიტიკებდნენ ხოლმე, რომ სიტყვა არ დასცდებოდათ თავად კანონპროექტის შინაარსსა და მიზანდასახულებაზე.

რაც შეეხება, საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებს, სავალუტო ფონდის წარმომადგენელი, აზიმ სადიკოვი პირდაპირ ამბობს, რომ მათ პრეზიდენტის ადმინისტრაციას მხოლოდ ტექნიკური შინაარსის შენიშვნები გაუგზავნეს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებები, რომ პროექტის მათი ვერსია ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს, საერთაშორისო ორგანიზაციებისგან აღიარებულია და ა.შ. სიცრუეა — კორექტული იქნებოდა განცხადება, რომ მათი მომზადებული პროექტი მართლწერის, პუნქტუაციისა და კანონშემოქმედების ზოგად წესებთან არის თანხვედრაში. პატიოსანი ადამიანი კი იმასაც დააყოლებდა — დიდი ამბავი, თუ პრეზიდენტის ვერსია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას არ იმეორებს — სამაგიეროდ პრეზიდენტს აძლევს თავისი პოლიტიკური ძალაუფლებით ვაჭრობის საშუალებას, თუნდაც ნაციონალური მოძრაობის ბანაკთან გაერთიანების საფასურადო.

შსს-ს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული თანამშრომლების ოჯახები ქობულეთში ისვენებენ

სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაღუპული თანამშრომლების ოჯახები ჩერნოვეცკის საქველმოქმედო ფონდის ორგანიზებით და დაფინანსებით, 10 დღის განმავლობაში ქობულეთში უსასყიდლოდ ისვენებენ. ჩერნოვეცკის ფონდის მიერ დაფინანსებულ საზაფხულო პროექტში 30 დაღუპული პოლიციელის 42 შვილი მონაწილეობს.

დაღუპული პოლიციელების ოჯახები საზაფხულო პროექტის ფარგლებში ზღვის სანაპირო ზოლზე განთავსებულ სასტუმროებში ისვენებენ, სადაც მათი კომფორტული დასვენებისთვის ყველანაირი პირობაა შექმნილი. საკურორტო ზონაში დასვენების პერიოდში ბავშვებისთვის მოეწყო მრავალფეროვანი გასართობი პროგრამა, ბავშვებმა დაათვალიერეს ბათუმის ბოტანიკური ბაღი, გაისეირნეს კატარღით ზღვაში. ასევე პროექტის ორგანიზატორებმა მათ მოუწყვეს ექსკურსია ბათუმში, რომლის დროსაც ისინი ესტუმრნენ ბათუმის დელფინარიუმს. ამას გარდა პროექტში მონაწილე პატარებისთვის მოეწყო ანიმაციური გმირების შოუ და ანსამბლ „ქობულეთის“ კონცერტი.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საინფორმაციო ბროშურები დაარიგა

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ინფორმირების მიზნით, მოქალაქეებს ტრეფიკინგის საფრთხეებსა და სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ საინფორმაციო ბროშურები დაურიგეს. აღნიშნული საინფორმაციო ბროშურები საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელშეწყობით ქართულ, ინგლისურ, რუსულ და თურქულ ენებზე დამზადდა. შს სამინისტრო აღნიშნულ დანაშაულთან ეფექტიან ბრძოლას პარტნიორ სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით აქტიურად განაგრძობს.

დანაშაულის პრევენცია ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ინტენსიურად ერთვება ცნობიერების ამაღლების კამპანიაში პარტნიორ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

2013 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, 30 ივლისი დააწესა როგორც ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღე. წელს ამ დღეს საქართველო, სხვა ქვეყნების მსგავსად, სიმბოლური ღონისძიებებით აღნიშნავს, რითაც ხაზი ესმება ტრეფიკინგის პრობლემის მნიშვნელობასა და სახელმწიფოს მიერ გაცხადებულ ნებას საკითხის პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით.

„ვერსიანიუსი“

ექსკლუზიური ინტერვიუ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარესთან

გიორგი ბარაბაძე ნავთობკომპანიების ბრალდებებს პასუხობს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

მას შემდეგ, რაც კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ, 2015 წლის 14 ივლისის №81 ბრძანება გამოაქვეყნა, რომელიც საავტომობილო საწვავის ბაზარზე სამართალდარღვევის, კერძოდ კარტელური გარიგების ფაქტებს ეხება, სააგენტომ არაერთი პოზიტიური გამოხმაურება მიიღო უცხოელი კოლეგებისგან. სააგენტომ ბაზრის ხუთი ძირითადი მოთამაშე, მათ შორის, „სოკარი“, „ვისოლი“, „რომპეტროლი“, „ლუკოილი“ და „გალფი“, საკმაოდ სოლიდური თანხით, ხოლო ბაზრის წვრილი მოთამაშეები 200-200 ლარით დააჯარიმა. გერმანელი ექსპერტი სააგენტოს თავმჯდომარეს წერს, რომ ამ დასკვნით, გერმანიის კარტელების ფედერალური სამსახურის, „ბუნდესკარტელამტის“ თანამშრომლებსაც კი შეშურდებათ, რადგან მათ დღემდე ვერ მოახერხეს ნავთობკომპანიების დაჯარიმება, მიუხედავად არსებული ეჭვისა, რომ გერმანელ მენავთობეებს შორის კარტელური გარიგება არსებობს. მომხდარს დადებითად გამოეხმაურნენ ინგლისელი (Paolo Palmigiano), ლიტველი (Sarunas Pajarskas) და პოლონელი (Nikodem Szadkowski) ექსპერტები, რომლებიც ახლად შექმნილ სააგენტოს, უმოკლეს ვადაში ასეთი წარმატებული დასკვნის მომზადებას ულოცავენ. კარტელური გარიგების რა სქემა გაშიფრა სააგენტომ? რა პრინციპით დაჯარიმდნენ ნავთობკომპანიები და კიდევ რომელ ბაზრებს შეისწავლის კონკურენციის სააგენტო? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე, ექსკლუზიურ ინტერვიუში, „ვერსიას“ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე, გიორგი ბარაბაძე ესაუბრება.

— ბატონო გიორგი, ბრძანება №81-ის საფუძველზე, უცნობია, რა პრინციპით დააჯარიმა კონკურენციის სააგენტომ ნავთობკომპანიები. მაგალითად, როგორ განსაზღვრეთ, რომ „სოკარ პეტროლეუმი“ — 14 381 385 ლარით, ხოლო „ლუკოილი“ — 4 740 260 ლარით დაგეჯარიმებინათ?

— კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად, ჯარიმის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურ განსაზღვრასა და შეფარდებას მოითხოვს. ჯარიმის დადგენისას მრავალი კრიტერიუმი არსებობს, რაც მნიშვნელოვანია სამართალდარღვევის სიმძიმისა და დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხის დასადგენად. ჯარიმის დაკისრებისას უნდა დადგინდეს ცალკეული შემთხვევისთვის პროპორციული ჯარიმა, რომელიც ეკონომიკური აგენტის მიერ განხორციელებული სამართალდარღვევის პროპორციულია და ამავდროულად, არ შეაფერხებს ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობას. ამასთან, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ეკონომიკური აგენტისთვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში, მისი წლიური ბრუნვის 5%-ს. აღსანიშნავია, რომ სანქციის მაქსიმალური ოდენობა არცერთი სამართალდამრღვევი სუბიექტის მიმართ არ გამოგვიყენებია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჯარიმის ოდენობა დამოკიდებულია კომპანიის წლიური ბრუნვის მოცულობაზე, რაც იდენტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაშიც კი, სანქციის განსხვავებულ თანხას შეადგენს.

— №81 ბრძანებაში, წვრილი ნავთობკომპანიები 200-200 ლარით დაჯარიმდნენ. ეს ოდენობა რა პრინციპით განსაზღვრეთ?

— ისინი ფრენჩაიზის (მსხვილი კომპანიის მიერ, უფლების, პრივილეგიის გადაცემა საშუალო ან წვრილი კომპანიისთვის, საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებით, — ავტ.) ხელშეკრულების მიმღები მხარეები არიან. უცხოეთში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ამ შემთხვევაში, სიმბოლური, 200-ლარიანი ჯარიმით შემოვიფარგლეთ, ვინაიდან მთავარი ფიგურანტი ხუთი ძირითადი კომპანია იყო.

— იურისტ ლევან ალაფიშვილის მოსაზრებით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ძალაში 2012 წელს შევიდა, როგორ გავრცელდა ამ კანონის ნორმები 2008-2011 წლებზე, როდესაც კანონს უკუქცევითი ძალა არ აქვს?

— კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებასა და ზოგადად, გადაწყვეტილებაში, მითითებული არ არის, რომ ნავთობკომპანიებს სანქციები დაეკისრათ 2008, ან 2010 წლებში ჩადენილ სამართალდარღვევებზე. ეს კვლევა, ძირითადად, 2008-2014 წლების პერიოდს ეხებოდა, ხოლო რიგი საკითხები 2004 წლიდან მოყოლებული შევისწავლეთ. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ სააგენტოს უფლება აქვს, 2008 წელს ჩადენილ სამართალდარღვევაზე გამოიყენოს სანქცია. აღნიშნული პერიოდი მხოლოდ იმ მიზნით შევისწავლეთ, რომ სააგენტოს სრულყოფილი წარმოდგენა შექმნოდა ხსენებულ სასაქონლო ბაზარზე წლების განმავლობაში განვითარებულ მოვლენებსა და ტენდენციებზე. რაც შეეხება თავად ქმედების სამართალდარღვევად შეფასებას, 2012 წლის 25 მაისს მიღებული „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აკრძალულ ქმედებად იქნა მიჩნეული კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმების განხორციელება. თითქმის ანალოგიურ რედაქციას შეიცავს ამჟამად მოქმედი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლიც. შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევად შეფასდა ამ პერიოდში, ანუ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ, 2012 წლის ზაფხულიდან ჩადენილი ქმედებები და არა მითითებულ პერიოდამდე განხორციელებული ქმედება.

— ამავე კანონით, დადგენილია ხანდაზმულობის ვადაც, ანუ ქმედების ჩადენიდან 3 წელი, რაც ნიშნავს, რომ მაქსიმუმ, 2012 წლის შემდეგ ჩადენილი ქმედებისთვის შეიძლება დავა. 2008-2011 წლები, ხანდაზმულობის ვადის მიღმაა და ასეთი გადაწყვეტილება როგორ მიიღეთ?

— ნაწილობრივ უკვე გიპასუხეთ, როდესაც განგიმარტეთ, რომ 2012 წლამდე პერიოდში განხორციელებულ ქმედებასთან მიმართებაში, სააგენტოს სანქცია არ გამოუყენებია. რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადას, ის განსაზღვრულია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მიხედვით და შეადგენს 3 წელს. შესაბამისად, 2012 წლის ზაფხულის შემდეგ ჩადენილ სამართალდარღვევებთან მიმართებაში, აღნიშნული ვადა ჯერ არ გასულა. ჩვენ 2015 წლის ბოლომდე გვქონდა ბაზრის შესწავლის, ანუ ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, კვლევა კი ერთი თვის წინ დავასრულეთ. ეს მოსაზრებაც ამ კანონის არასწორი ინტერპრეტაციაა და ვინც ამ თემით აპელირებს, ვურჩევ, 2012 წლის 25 მაისის კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ ნახოს, სადაც ეს ქმედებები აკრძალულადაა მიჩნეული. ახალ საკანონმდებლო რეალობაშიც იგივეა ასახული.

— კარტელური გარიგების რა კონკრეტული სქემა გაშიფრეთ, ანუ როგორ და რა პრინციპით შეთანხმდნენ კომპანიები საწვავის ფასზე ფარულად?

— თავიდანვე მინდა განგიმარტოთ, რომ ყველა ნიუანსზე ვერ ვისაუბრებ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ კვლევა დავასრულეთ, კანონის მე-20 მუხლით, ვალდებული ვარ, სრული დასკვნის ნაცვლად, მხოლოდ რამდენიმეგვერდიანი ანოტაცია გამოვაქვეყნო. თუ დავა სასამართლოში გადაინაცვლებს და მოსამართლე გრიფს მოხსნის, დეტალებზე საუბარს მხოლოდ მაშინ შევძლებ. კანონით რა უფლებაც მაქვს, იქიდან გამომდინარე, გიპასუხებთ. კონკურენციის სააგენტოს მიაჩნია, რომ საავტომობილო საწვავის (ბენზინი, დიზელი) სასაქონლო ბაზარზე წარმოდგენილნი არიან განსხვავებული საბაზრო ძალის მქონე ეკონომიკური აგენტები, რომელთაც ცალსახად განსხვავებული კონკურენტული უპირატესობები გააჩნიათ. ამასთან, 2008-2014 წლებში, სასაქონლო ბაზარზე არსებული ფასთწარმოქმნის პრაქტიკა და გამოცხადებული ფასების ტრენდი, ფასის დანახარჯებთან შედარების პრინციპს არ ეფუძნება. სხვადასხვა შემთხვევაში, სასაქონლო ბაზარზე მიღებული გადაწყვეტილებები, ზემოაღნიშნული ნიშან-თვისების ისეთ მკვეთრ განსხვავებულ მოცემულობას ქმნის, რომ ცალსახად შეიძლება ითქვას — კონკურენციის არსებობის შემთხვევაში, ადგილი ექნებოდა სრულიად განსხვავებულ მდგომარეობას, ანუ საუბარია ეკონომიკურ ეფექტიანობაზე.

2008-2014 წლებში, ეკონომიკური აგენტების მიერ, შესაბამის სასაქონლო ბაზარზე, დადგენილი იყო ფასთწარმოქმნის არასწორი პრაქტიკა. მთელი ქვეყნის მასშტაბით, ეგრეთ წოდებული „ერთი ფასის პრინციპი“ დაწესდა, რომლის შედეგად, სასაქონლო ბაზარზე გამოცხადებული საცალო ფასის შედარება დანახარჯებთან, ნებისმიერ მიუკერძოებელ პირს უქმნის ლოგიკურ წარმოდგენას, რომ ბათუმი-თბილისის ან ფოთი-თბილისის მონაკვეთებზე, ფასფაქტორების გონივრული ასპექტით კალკულირების შედეგად მიღებული ფასი, არსებული ფასთწარმოქმნის პრაქტიკას ანგრევს. სხვა ფაქტორებთან ერთად, სწორედ ეს რეალობა უკავშირდება სასაქონლო ბაზარზე 2009-2012 წლებში შექმნილ გარემოებას, რომელიც ხასიათდება კონკურენციის ცალსახა შეზღუდვით. ამ წლებში, ეკონომიკურ აგენტთა მკაცრად განსაზღვრული რაოდენობის გარდა, სხვა მეწარმეებს არ ჰქონდათ საქონლის იმპორტისა და საბითუმო გაყიდვების შესაძლებლობა, რის შედეგადაც, სასაქონლო ბაზრიდან ასეულობით მოქმედი ეკონომიკური აგენტი გავიდა, მათი ფიზიკური კაპიტალი და საქმიანობის შედეგები (ბრუნვის მოცულობა), ბაზარზე დარჩენილმა სუბიექტებმა გადაინაწილეს.

დასასრული მე-4 გვერდზე

ათონელის რეზიდენციაში გადასვლაზე უშიშროების საბჭოს მდივანიც უარს აცხადებს

გიორგი იაშვილი

საოცარია, მაგრამ ფაქტია — ათონელის რეზიდენციაში გადასვლაზე უარს არამარტო პრეზიდენტი, არამედ უშიშროების საბჭოს მდივანიც ამბობს. ქალბატონი ირინა იმერლიშვილის განცხადებით, ათონელზე არ არის ის პირობები, რომ უშიშროების საბჭომ იმუშაოს და ეს მაშინ, როცა შენობაზე 28 მილიონი ლარი დაიხარჯა და ისე შენდებოდა, როგორც პრეზიდენტის რეზიდენცია. აღნიშნულზე კომენტარი მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა, მაია ცქიტიშვილმა გააკეთა: „ახალი გადაწყვეტილება არაა მიღებული. უბრალოდ, ჩვენ გვქონდა სამწუხარო მიმოწერა ქალბატონ ირინასთან. ახალ წერილში, რომელიც მისგან მივიღეთ, მას მოჰყავს არგუმენტები, რატომ ვერ გადავა უშიშროების საბჭო ათონელზე. ჩვენ ამას ვერ გავიზიარებთ, რადგან სიმართლეს არ შეესაბამება ის, რასაც ქალბატონი ირინა ასაბუთებს, თითქოს შენობა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც უშიშროების საბჭოს ფუნქციონირებისთვის არის საჭირო. თქვენ შეგიძლიათ ჩახვიდეთ, ნახოთ, რა პირობებში მუშაობდა უშიშროების აპარატი და ნახოთ, რა პირობებია ათონელზე. ნატო-ს ყველა სტანდარტი დაცულია. სამწუხაროა, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ქალბატონმა ირინამ. ალბათ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი კანონმდებლობით, მთავრობა განკარგავს სახელმწიფო ქონებას. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ათონელის რეზიდენციაში უნდა განთავსდეს უმაღლესი პირი. პრეზიდენტსა და მის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მოხდა თანხების გახარჯვა. 28 მილიონ ლარამდე თანხა დაიხარჯა. სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია მათი გადაწყვეტილება, როცა მისამართში ჩაწერეს აბდუშელიშვილის ქუჩა. ვერ გავიზიარებთ მათ არგუმენტებს. მითუმეტეს იმას, თითქოს, პოლიტიკური მიზეზების გამო ჩაიშალა ჩვენი მხრიდან მოლაპარაკება. პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მე უფრო მათი მხრიდან ვხედავ“.

რა გამოდის? უმაღლესი დონის რეზიდენცია, რომლისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 28 მილიონი დაიხარჯა, სამთავრობო სტრუქტურებსა და პრეზიდენტს არ სურთ? რეალურად, ამ ყველაფერს სხვა სუნი უდის და როგორც ამბობენ, მალე ყველაფერს თავის სახელი დაერქმევა.

ბაკურიანში ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია იწყება

ბაკურიანში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება იწყება. ამის შესახებ თანამშრომლობის მემორანდუმი სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის სასტუმრო „რედისონში“ გაფორმდა.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“, „მთის კურორტების განვითარების კომპანიისა“ და „საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიაში შემავალი „ახალი მიტარბის“ წარმომადგენლებმა.

მემორანდუმის მიხედვით, კოხტასა და მიტარბის საბაგიროების მშენებლობის პროექტს საქართველოს მთავრობა 48 მილიონი ლარით დააფინანსებს, „საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია“ კი 70 მილიონი ლარის ინვესტიციას განახორციელებს უძრავი ქონების ნაწილში, რაც ერთ-ერთი მსხვილი ინვესტიცია იქნება სამთო ტურიზმის აღორძინების კუთხით.

ეკონომიკის მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ პროექტი საქართველოში ახლადდანერგილი მოდელის, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობის პრინციპით განხორციელდება, რაც საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

თიბისი ჯგუფის დამფუძნებელმა, **მამუკა ხაზარაძემ,** ამ პროექტში სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობას უპრეცედენტო მოვლენა უწოდა: **„ეს არის ახალი სიტყვა ქართული ტურიზმის განვითარებაში. პროექტის დასრულების შემდეგ ჩვენ მივიღებთ უმაღლესი სტანდარტის სამთო-სათხილამურო კურორტს, როგორიც მაგალითად ავსტრიაში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში გვინახავს. მნიშვნელოვანია, რომ ყველა შენობა-ნაგებობა აშენდება ძალიან მკაცრი გენერალური გეგმის მიხედვით, უმაღლესი ხარისხის სამშენებლო მასალით და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ექნება დახვეწილი არქიტექტურა. ეს პროექტი მაგალითის მიმცემი იქნება სხვებისთვისაც, რომ ამ რეგიონში გაგრძელდეს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა. ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას და ადგილობრივი მცირე ბიზნესის წახალისებას“.**

მამუკა ხაზარაძისვე განცხადებით, „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითრების კომპანიის“ მოწვევით, პროექტის გენერალურ გეგმაზე იმუშავებს ცნობილი კანადური კომპანია, თავად პროექტი კი ქართულ კომპანია architects.ge-ს ეკუთვნის.

საბაგიროების მშენებლობას განახორციელებს სამთო-სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ავსტრიული კომპანია „დოპელმაიერი“.

ექსკლუზიური ინტერვიუ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარესთან

მე-3 გვერდიდან

— რას გულისხმობთ?

— 2004 წელს, ნავთობპროდუქტების ბაზარზე, სხვადასხვა მარკის დიზელისა და ბენზინის საავტომობილო საწვავის იმპორტს 178 ეკონომიკური აგენტი ახორციელებდა; 2005 წელს — 159, ანუ 19-ით ნაკლები; 2006 წელს — 142 ეკონომიკური აგენტი, ანუ წინა წელთან შედარებით, 17-ით ნაკლები; 2007 წელს — 113 ეკონომიკური აგენტი, ანუ წინა წელთან შედარებით, 29-ით ნაკლები, 2008 წელს — ბაზარზე 31 ეკონომიკური აგენტი დარჩა, წინა წელთან შედარებით, 82-ით ნაკლები; 2009 წელს — ბაზარზე 25 ეკონომიკური აგენტია; 2010 წელს — 12 კომპანია, 2011 წელს — 10 ეკონომიკური აგენტი; 2012 წელს — 8 ეკონომიკური აგენტი. რაც შეეხება 2013-2014 წლებს, ახალი ხელისუფლების პირობებში, ბაზარზე ვითარება შეიცვალა და საწვავის იმპორტს უკვე 25 ეკონომიკური აგენტი ახორციელებდა. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელს, სასაქონლო ბაზარზე არსებითად შეიცვალა მდგომარეობა, მოიხსნა შეზღუდვები საქონლის იმპორტში, გაჩნდა ალტერნატიული შემოტანები, საბითუმო გაყიდვები და შესაბამისად, საცალო ალტერნატიული გაყიდვებიც განვითარდა — სასაქონლო ბაზარს შენარჩუნებული აქვს მაღალი კონკურენციის დონე (დაბალია სასაქონლო ბაზარზე ახლადშემოსულ მეწარმეთა კონკურენტუნარიანობა), რის გამოც სასაქონლო ბაზარზე საქმიანობას წარმართავენ მნიშვნელოვანი წილის მქონე ის ეკონომიკური აგენტები, რომლებსაც 2010-2012 წლებში, საავტომობილო საწვავის იმპორტში, ჯამურად, თითქმის 100% ეკავათ.

— საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ფადი ასლიმ, პრემიერ-მინისტრს მიმართა და ხაზგასმით მიანიშნა, რომ კონკურენციის სააგენტოს კვლევა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, რადგან ხელისუფლება ცნობილ ნავთობკომპანიებს ერჩის და რომ კონკურენციის სააგენტომ ისინი ყალბი და უსაფუძვლო ბრალდებების გამო დაჯარიმა...

— სამწუხაროდ, ფადი ასლის ეს განცხადება არ მომისმენია. თუ ამბობს, რომ კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება პოლიტიკურია, მაშინ დაამტკიცოს კიდეც, რომ ასეა! ხაზგასმით გეუბნებით, რომ კვლევის პროცესში არავინ ჩარეულა, არც პრემიერი, არც ვიცე-პრემიერები და არც მინისტრები. კონკურენციის სააგენტო სრულიად დამოუკიდებელი სტრუქტურაა და პარლამენტის, მთავრობის ან რომელიმე სამინისტროს კონტროლს არ ექვემდებარება. სააგენტო პერსონალურად, მხოლოდ პრემიერის წინაშეა ანგარიშვალდებული, რაც იმით შემოიფარგლება, რომ წელიწადში ერთხელ, გაწეული საქმიანობის შესახებ, ანგარიში უნდა ჩავაბაროთ.

— ნავთობკომპანიები სასამართლოში აპირებენ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას, მაგრამ იმის გამო, რომ გაბედეთ და მსხვილი ნავთობკომპანიები დაჯარიმეთ, საზოგადოება ახლა ლუპით გაკვირდებათ. მზად ხართ სასამართლო პროცესისთვის?

— საქართველოს კანონმდებლობით, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, სასამართლოში გაასაჩივროს გადაწყვეტილება, რომელსაც არ ეთანხმება. ამ პრინციპზეა დაფუძნებული „კონკურენციის შესახებ“ კანონიც, ამიტომ კომპანიების კანონიერი უფლებაა, მიმართონ სასამართლოს. თავისთავად ცხადია, როდესაც ისეთ მნიშვნელოვან სექტორში, როგორიცაა ნავთობპროდუქტების ბაზარი, ასეთ გადაწყვეტილებას ვიღებდით, ყველა ნიუანსი და დეტალი გავითვალისწინეთ. მეტსაც გეტყვით, რიგ გარემოებებზე, რასაც ჩვენი კვლევა დაეფუძნა, უცხოური სასამართლო პრაქტიკის გამოცდილებაც შევისწავლეთ, თუ რა კონკრეტული გადაწყვეტილებები და ქეისები მიიღეს ასეთ შემთხვევებში. თუ დავა სასამართლოში გადაინაცვლებს, თავისი არსით, ეს ადმინისტრაციული სამართალწარმოება იქნება. დავინტერესდი და უზენაესი სასამართლოს არქივში გადავამოწმე, რა რაოდენობის მოცულობითი ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმე არსებობდა ზოგადად საქართველოში და გავარკვიე, რომ არქივში მხოლოდ 10 ტომი ფიქსირდება. არადა, ჩვენი კვლევა, ჯამში, 50 ტომია და შეიძლება ითქვას, ქართულ სამართლებრივ რეალობაში, თავისი მოცულობით, ეს უპრეცედენტო იქნება. თუ დავა სასამართლოში გადაინაცვლებს, ჩვენს პოზიციებსაც დავიცავთ.

— ფადი ასლი წერს: „რკინიგზის მონოპოლისტმა კომპანიამ, რომელსაც თქვენი მთავრობა მართავს, რამდენიმე თვის წინ, ნავთობკომპანიებს უსაფუძვლოდ, ცალმხრივად გაუზარდა სომხეთში გადაზიდვის ტარიფი. შედეგად, ამ კომპანიებს 1 კმ ხუთჯერ ძვირი უჯდებათ, ვიდრე ბაქოში“... რას ნიშნავს „რკინიგზის მონოპოლისტი კომპანია“ და რამდენად რეალურია ფადი ასლის ეს ინფორმაცია?

— უფრო სწორი იქნებოდა, რომ ფადი ასლის, ან იმ ეკონომიკურ აგენტებს, რომლებსაც ეს ინფორმაცია ეხებათ, შესაბამისი განცხადებით კონკურენციის სააგენტოსთვის მოემართათ, რაც კონკრეტული საქმის მოკვლევის საფუძველი გახდებოდა. მათ შეუძლიათ, ნებისმიერ დროს მიმართონ სააგენტოს, რომელიც კანონით დადგენილ ვადებში, მისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე, იმ საკითხზე, რაზეც ინფორმაციას არ ვფლობთ, საჯარო კომენტარის გაკეთება სწორი არ იქნება.

— ნავთობპროდუქტების ბაზრის კვლევის შედეგად, რა საკანონმდებლო ხარვეზები გამოიკვეთა და აპირებთ თუ არა ცვლილებების მომზადებას „კონკურენციის შესახებ“ კანონში?

— ნებისმიერი კანონის ავკარგიანობას პრაქტიკა ცხადყოფს და შესაბამისად, უკვე მოვამზადეთ ცვლილებები კანონის გარკვეულ ნორმებში. მაგალითად, გერმანიის, საფრანგეთისა და ევროპული ქვეყნების კანონმდებლობით, არსებობს პრაქტიკა, რომ სააგენტოს ჩხრეკის უფლება აქვს. იმის გამო, რომ პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვების საშუალება არ გვქონდა, კვლევის პროცესში, ირიბი მტკიცებულებების გზით წავედით, რაც ურთულესი იყო. მაგალითად, მოქმედი კანონმდებლობით, თუ ეჭვი გვაქვს, რომ რომელიმე კომპანია შეთანხმებაში მონაწილეობს, ჯერ კომპანიას უნდა მივმართოთ, რათა გარკვეული ელექტრონული მიმოწერა გადმოგვცეს და ცხადია, უარს გვეტყვის. ამის შემდეგ სასამართლოს უნდა მივმართოთ, რათა ნებართვა ავიღოთ და მტკიცებულება მოვიპოვოთ. რა თქმა უნდა, ამას დრო სჭირდება, ხოლო კომპანიას საშუალება აქვს, მტკიცებულება გაანადგუროს ანუ ელექტრონული მიმოწერა წაშალოს. ამიტომ თუ სააგენტოს ფუნქცია გაიზრდება, ეს ჩვენი საქმიანობის ეფექტიანობასაც ხელს შეუწყობს. ცვლილებების პაკეტი მომზადებული გვაქვს, მაგრამ გვინდა, კონსულტაციები გავიაროთ როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ექსპერტებთან.

— პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვება უნდა გაგიადვილდეთ, მაგრამ ჩხრეკა და მოსმენა ცუდად მომხვდა ყურში, ეს ევროპული პრაქტიკაა?

— დიახ, ევროპული პრაქტიკაა, რომელიც ევროპის წამყვან ქვეყნებსა და ამერიკაში წარმატებით მუშაობს. ჩვენ ვსაუბრობთ მტკიცებულებების მოპოვების გაადვილებაზე, რადგან თუ საზოგადოებაში არსებობს ლეგიტიმური ეჭვი, უფლება უნდა გვქონდეს შევისწავლოთ, რეალურია ეს ეჭვი თუ არა.

— ნავთობკომპანიების ბაზრის შემდეგ, აპირებთ თუ არა ფარმაცევტული და ფქვილის ბაზრების შესწავლას?

— მინდა ცალსახად განვაცხადო, რომ კონკურენციის სააგენტო, მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ყველა იმ სასაქონლო ბაზარს შეისწავლის, რომლებზეც კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შესახებ, სააგენტოში საჩივარი, ან განცხადება შემოვა. ამასთან, სააგენტო რეაგირების გარეშე არ დატოვებს არც ერთ იმ სასაქონლო ბაზარს, რომელთა მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი მაღალია. თუმცა როდის და რომელ სასაქონლო ბაზრებს შეისწავლის სააგენტო, ამაზე წინასწარ საუბარი სწორი არ იქნება, რადგან გონივრული ეჭვის ფარგლებში, თითოეული ბაზრის სპეციფიკა კონკურენციის დაცის ფაქტებისა და გარემოების წინასწარ შეფასებას, მეთოდოლოგიური მდგომარეობის დამუშავებას მოითხოვს, რაც თავის მხრივ, შესაბამის ადამიანურ რესურსებს უკავშირდება. ამ ეტაპზე, სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია 8 მოკვლევის საქმის დასრულება, რადგან თითოეული მათგანისთვის კანონმდებლობით, მკაცრად რეგლამენტირებული ვადებია განსაზღვრული. თუმცა სააგენტოში უკვე მიმდინარეობს ხორბლის/ფქვილის სასაქონლო ბაზრის მოკვლევა, რომელიც ოქტომბრის ბოლოს უნდა დასრულდეს.

და კიდევ ერთი, ხშირად, საზოგადოებას კონკურენციის სააგენტოს ფუნქციაზე მცდარი წარმოდგენა აქვს და ფიქრობს, რომ ამა თუ იმ ბაზარზე არსებულ ფასწარმოქმნაშიც უნდა ჩავერიოთ. თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა განვმარტო, რომ კონკურენციის სააგენტოს ფუნქცია ფასის კონტროლი არ არის. მეტიც, ეს არცერთი სახელმწიფო სტრუქტურის ფუნქცია არ არის და ამის შესახებ საქართველოს არცერთ კანონში არ არის პირდაპირი ან ირიბი მინიშნება. ჩვენი მთავარი ფუნქციაა, დავადგინოთ, რომ ბაზარზე არსებული ესა თუ ის ფასი, ეკონომიკურ აგენტებს შორის შეთანხმებული მოქმედების შედეგი ხომ არ არის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ფასს უშუალოდ ბაზარი განსაზღვრავს და არეგულირებს.

ზურაბ ჟვანია

სკანდალური საქმე

სპეციალური რეპორტაჟი სასამართლო პროცესიდან

„ის, რაც ჟვანიას თავის დათვალიერებისას შევამჩნიე, დასკვნაში არ ავსახე და არც ჩაჩუასთვის მითქვამს“

სამედიცინო ექსპერტის სკანდალური ჩვენება

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

29 ივლისს ის ადამიანები დაიკითხნენ, რომლებიც ჟვანიას გარდაცვალების დღეს მოვლენების ეპიცენტრში იყვნენ: სამედიცინო ექსპერტი კახაბერ ერისთავი, რომელმაც ჟვანიას გაკვეთაში უშუალო მონაწილეობა მიიღო; ექსპერტი კრიმინალისტი როინ ბეჟაშვილი, რომელმაც ყარაჯალაში რაულ უსუპოვს ანაბეჭდები აუღო; ფიზიკოსი იუზა ბელქანია, ვინც საბურთალოს ქ. №53-ში ნიკალას გამათბობელი დაათვალიერა და 82 წლის ნუგზარ ფხეიძე, რომელმაც საკუთარი თვალით ნახა, რომ გაზის გამანაწილებელში ბოქლომი გატეხილი იყო, წნევა კი მომატებული.

სხდომა სამედიცინო ექსპერტის, **კახაბერ ერისთავის** დაკითხვით დაიწყო. მის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია ექსპერტ ლევან ჩაჩუას ინფორმაციას ეწინააღმდეგება. ადვოკატმა ბექა ბასილაიამ მოწმეს ჰკითხა კიდეც, თუ ჩაჩუა დააკავეს, თქვენ რატომ ხართ თავისუფალიო. კითხვა პროკურორმა გააპროტესტა, თუმცა მოწმე მაინც იძულებული გახდა ეპასუხა. პროკურორის კითხვაზე, შეენიშნებოდათ თუ არა ჟვანიასა და უსუპოვს სხეულზე რაიმე სახის დაზიანებები, ექსპერტმა დადებითად უპასუხა.

— ჟვანიას დაზიანება ტუჩის არეში ჰქონდა. უსუპოვს კი თითის არეში ჰქონდა ნაჭდევი, რომელიც შემთხვევის დათვალიერების ოქმშიც შევიტანეთ. ჩვენ გვევალებოდა გვამური ლაქებისა და გვამის ვიზუალური დათვალიერება. შემთხვევის ადგილი მანამდეც ვნახე. ქვედა ტუჩზე ნაჭდევი ნამდვილად ჰქონდა.

— როგორი ტიპის ნაჭდევი იყო?

— რომ დაეცემი, ისეთი. ტუჩზე სისხლჩაქცევა ჰქონდა.

— ეს დაზიანება როდის ჰქონდა მიღებული?

— სიცოცხლეში... ეს იყო სისხლჩაქცევა... სიკვდილამდე მიღებული ასეთი ნაჭდევი მოწითალო უნდა იყოს, სიკვდილის მერე — მოყვითალო და მის ქვეშ სისხლჩაქცევა არ უნდა იყოს. ეს სიცოცხლის დროინდელი დაზიანება იყო. ახალი, მაგრამ როდინდელი, ვერ გეტყვით.

— დროის გასვლასთან ერთად დაზიანება იცვლება?

— გარდაცვალებამდე მიღებულ დაზიანებას გვამის ლპობამდე იგივე სურათი აქვს შენარჩუნებული და ფერს არ იცვლის.

— ასეთი დაზიანების მიღება როდის შეიძლება?

— ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ბლაგვი საგანი. ხის ნაჭერი, მუშტი, ტელეფონი, ჭიქა... ეს უნდა ყოფილიყო ბლაგვი საგნის ზემოქმედების შედეგად მიღებული დაზიანება და არა ცეცხლსასროლი იარაღით ან მჭრელი საგნით.

— დაწოლის შედეგად შეიძლებოდა ყოფილიყო?

— თითით და ხელით ნაჭდევს ვერ განავითარებ. თუ ხელოვნურ სუნთქვას ჩაუტარებ და თითებით გაუღებ პირს, შიგნით შეიძლება განვითარდეს დაზიანება.

ჟვანიას თავის დათვალიერებისას შემკვრივებული მასაც შევამჩნიე, თუმცა არ ვიცოდი, იყო თუ არა ეს დაზიანება და დასკვნაში არ ავსახე. ექსპერტები მე და ლევან ჩაჩუა ვიყავით. ის რაც ხელით შევნიშნე, ჩაჩუასთვის არ მითქვამს. გაკვეთის პროცესშიც არ მიმიქცევია ყურადღება. ვიფიქრე, სხვებიც ნახავდნენ და თან ბოლომდე იქ ვიქნებოდი, მაგრამ წასვლა მომინია. თუმცა, ჩემი წამოსვლით, არც გაკვეთის პროცესი შეჩერებულა და არც საქმე გაფუჭებულა.

— ჩაჩუა პასუხისგებაში მისცეს, თქვენ — არა. არსებობდა რაიმე ობიექტური მიზეზი, რის გამოც არ ასახეთ დაზიანებები დასკვნაში?

— არ ვიცოდი, ეს რა იქნებოდა, შეიძლება ცხიმგროვაც ყოფილიყო ან დაზიანება.

— შეგიძლიათ დაბეჯითებით თქვათ, რომ ჟვანია CO-თი მოინამლა?

— იმ მონაცემებით, რაც ვნახე, შემიძლია ვთქვა, რომ CO-თი მოინამლა. ამ მონაცემებს ეჭვქვეშ არ ვაყენებ.

— რაულ უსუპოვის ან ჟვანიას ნაჭდევები სიცოცხლისთვის სახიფათო იქნებოდა?

— არა. ვერანაირად ვერ იქნებოდა.

მოწმის ინფორმაციამ, რომ ჟვანიას ტუჩზე არსებული დაზიანება სიცოცხლის დროინდელ ნაჭდევს ჰგავდა, დარბაზში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ის ვერსიაც განიხილეს, რომ შესაძლოა, როცა ხარშილაძემ ჟვანიას ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარა, პრემიერი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ან 2-3 წუთის გარდაცვლილი. მითუმეტეს, მისი გარდაცვალების კონკრეტული დრო ცნობილი არ არის.

მოწმემ, ექსპერტმა კრიმინალისტმა როინ ბეჟაშვილმაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია გააჟღერა. ბეჟაშვილი უსუპოვის გარდაცვალების შემდეგ, მის სოფელში, ყარაჯალაში ჩავიდა და ანაბეჭდები აიღო. მისი განმარტებით, უსუპოვს არამხოლოდ თითთან ჰქონდა დაზიანებები, არამედ ყელის არეში უცნაური ლაქები აღენიშნებოდა, რომლებმაც მაშინვე მიიპყრო მისი ყურადღება.

— ყარაჯალაში ისეთ დროს მივედით, როცა უსუპოვის ეზოში გადასვენებას აპირებდნენ. გვითხრეს, გვეჩქარებაო და ჩვენ 10-15 წუთი გვქონდა. გარდაცვლილი სასახლეში არ ესვენა. ტახტზე იწვა და თეთრი ზეწარი ეფარა. ვთხოვეთ, ზეწარი ისე გადაეხადათ, ხელები გამოეჩინათ. დავინახე ყელის არეში მუშტების ლაქა. ეს იყო მოგრძო ფორმის ლაქები, დაახლოებით სამი სანტიმეტრის სიგრძის და ნახევარი სანტიმეტრის სიგანის. ასე დამამახსოვრდა, არ გამიზომავს.

დარბაზში ჩამოწოლილი სიჩუმე პროკურორმა დაარღვია და იკითხა, რატომ მიიქცია ლაქამ მისი ყურადღება. მოწმემ უპასუხა: **„იმიტომ, რომ მთელი კანი ერთი ფერის იყო, ლაქა კი სხვა ფერის. უსუპოვი კარგი გარეგნობის ბიჭი იყო. თითზე დაზიანება ჰქონდა თუ არა, არ მახსოვს. ლაქები ყელზე აშკარად ეტყობოდა... სხვა დაზიანებები, არ შემიმჩნევია“.**

როგორც გაირკვა, გარდაცვლილს ზეწარი წელამდე ჰქონდა გადაფარებული და ექსპერტებს მთელი სხეული არ დაუთვალიერებიათ. საუბრის დასასრულს მოწმემ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი გაასაჯაროვა: **„სამსახურში დაბრუნებულმა, თანამშრომლისგან შევიტყვე, რომ უსუპოვს ნაჩხვლეტებიც ჰქონდა...“**

მესამე მოწმე, ფიზიკოსი **ნუგზარ ბელქანია,** ერთ-ერთი

პირველი იყო, ვინც თქვა, რომ გამათბობელი, საბურთალოს ქუჩა №53-ში ახალი იყო, გამართულად მუშაობდა და მურის კვალი არ შეინიშნებოდა. გამათბობელი მან თავად შეისწავლა, თუმცა გახსნის გარეშე. ექსპერტ ლევან სამხარაულს უთქვამს, უკვე შემოწმებულია, მაგრამ შენი აზრიც მაინტერესებს — ისე დაათვალიერე, არ დაშალოო. იმ დროისთვის გამათბობელზე უკვე პლომბი აღარ იდო....

— რა შემთხვევაში ჩნდება მური?

— არასრული წვის დროს გამოიყოფა CO. როდესაც გამათბობელი გამართულად მუშაობს, მურის გამოყოფა არ ხდება. ის არასრული წვის გამო ჩნდება, როდესაც ჰაერი არ ჰყოფნის და ჟანგბადის ოდენობა ნაკლებია... არასრული წვის დროს ნახშირორჟანგი გამოიყოფა და მური ჩნდება.

— რაც ნახეთ, დოკუმენტურად სადმე ასახეთ?

— ლევან სამხარაულმა მითხრა, შენი, როგორც სპეციალისტის აზრი მაინტერესებსო. გამომძიებელი არ ვარ, ზეპირად უნდა მომეხსენებინა. ეროვნული ბიუროს ლაბორატორიაში ეს აპარატი რამდენიმე თვე ინახებოდა.

დაცვის მხარემ ბელქანიას მისი ინტერვიუს ამონარიდი წაუკითხა, სადაც ის ირწმუნებოდა, ჟვანია ბუნებრივი აირით არ არის გარდაცვლილიო. დაცვის შეკითხვაზე, რაზე დაყრდნობით გაავრცელა ეს ინფორმაცია და ჰქონდა თუ არა მას იგივე აზრი დღეს, მოწმემ უპასუხა, რომ ინფორმაცია მის ხელთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით გააკეთა. მოწმეს ნაფიცმა მსაჯულებმაც არაერთი კითხვა დაუსვეს.

— ფლობთ ინფორმაციას, უბედური შემთხვევის დაფიქსირებისთანავე ვინ გახსნა პლომბი?

— მე როცა ვნახე, პლომბი უკვე ახსნილი იყო. ჩემამდე ტექნიკურმა სამსახურმა დაათვალიერა.

— თუ პლომბი ახსნილი იყო, რატომ დაგავალათ სამხარაულმა მისი კიდევ ერთხელ დათვალიერება?

— ალბათ მენდობოდა და იმიტომ.

— შეიძლებოდა, ჟანგბადის უკმარისობით მომხდარიყო უბედური შემთხვევა?

— ეს ფიზიკის კანონია. გამორიცხული არ არის.

— ბინის გარედან, „ნიკალას“ საკვამურებზე რაიმე სახის მანიპულაციით თუ იყო შესაძლებელი, რომ გამათბობელს CO გამოეყო?

— არაა გამორიცხული. საკმარისია, ტომარა გადააფარო, CO შიგნით შემოვა... ჩამოვარდნილიყო სარეცხიც რომ გადაფარვოდა ზემოდან, ესეც გამოიწვევდა ამას.

29 ივლისს, სხდომაზე, ბოლო მოწმედ **ნუგზარ ფხეიძე** გამოიძახეს. ჟვანიას გარდაცვალების ღამეს, როცა ბინაში გაზის წნევამ აიწია, ის თავად მივიდა შემთხვევის ადგილზე და ნახა, რომ ჯიხურში საიდანაც გაზი რეგულირდებოდა, ბოქლომი გატეხილი იყო, წნევა კი — ხელოვნურად მომატებული: **„იმ ღამეს სახლში ვიყავი. ცვლის უფროსმა დამირეკა და მითხრა, რომ გამოძახება იყო. მოსახლეობიდან შემოვიდა ინფორმაცია, რომ წნევა მომატებული იყო. წნევის დაწევა მარტივად არ ხდება — ჯერ უნდა გადაიკეტოს, მერე ყველა ბინაში, მოსახლეობის გაფრთხილებით, ცალკე უნდა დაიწყოს გაზის გაშვება. სამი იყო დაწყებული შეტყობინება რომ შემოვიდა. 3 საათზე გაზი უკვე გათიშული იყო. იქ ადგილზე ბოქლომი იყო გატეხილი და წნევა მომატებული“.**

პროკურორი მოწმეს სთხოვს ყველაფერი უფრო დეტალურად აღწეროს.

— როდინდელი გატეხილი იყო ბოქლომი და რამდენ ხანში ამოწმებდით ჯიხურს?

— ამას ვერ გეტყვით, თუმც შემოწმება სპეციალური გრაფიკით ხდება. ბოლოს 2 კვირით ადრე შემოწმდა.

— შეიძლებოდა წნევის მატება ბუნებრივად მომხდარიყო?

— გამორიცხულია, თუ ხელით არ შეხრახნე.

— შემთხვევის ადგილი თავადაც ნახეთ?

— რა თქმა უნდა. კარი ღია დამხვდა. გაზის მიწოდება შეწყვეტილი იყო, ბოქლომი არ მინახავს. შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ წნევის მატება რეგულატორის მოშვებამ გამოიწვია.

— თქვენი აზრით, შეიძლება წნევის მატებასა და ჟვანიას გარდაცვალებას შორის პირდაპირი კავშირი იყოს?

— თუ დანადგარში გაზი შედიოდა, პირდაპირი კავშირი არსებობს.

— ბინაში შეხვედით?

— შევედი. ეყენა ირანული გამათბობელი, რომელსაც ჟანგბადი მიეწოდება ოთახის სივრციდან. მილი იმ დონზე გამოდიოდა გარეთ, რა დონის კედელიც იყო. გარშემო ამოღესილი იყო. დანადგარი სულ ახალი იყო.

მოწმის განცხადებით, ჟვანიას გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ, მას ტელეფონზე უცხო ადამიანი დაუკავშირდა, რომელმაც უთხრა, რომ მოწმე ბევრს ლაპარაკობდა და მსგავსი ინფორმაციის გავრცელებისგან თავი უნდა შეეკავებინა. ამის შემდეგ მსგავსი ზარები მის ტელეფონზე აღარ დაფიქსირებულა.

30 ივლისის სასამართლო პროცესზე კახეთის სამხარეო პოლიციის ექსპერტ კრიმინალისტმა **ილია ღარიბაშვილმა** კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი წინა მორბედის ვარაუდი, რომ უსუპოვს მკერდზე ორი მოწითალო ნაჭდევი ჰქონდა: **„ჩემი დავალება მაშინ მხოლოდ თითის ანაბეჭდების აღება იყო. მაშინ მთელი სახელმწიფო მანქანა იყო ჩართული ამ საქმეში. ჩემზე უფრო კომპეტენტური ხალხი მუშაობდა და აზრადაც არ მომსვლია, რამეში ეჭვი შემპარვოდა. თუმცა შევამჩნიე, რომ გულის არეში უსუპოვს ორი მოწითალო წერტილი ჰქონდა და კანის ზედაპირის ერთიანობა დარღვეული იყო. მაშინ ეს დაზიანებად მივიჩნიე“.**

30 ივლისის სასამართლო პროცესზე მეორე მოწმე ჟვანიას საქმის ყოფილი გამომძიებელი **გიორგი ლომიძე** იყო. მან ჟვანიას გარდაცვალების გარემოებები ეჭვქვეშ დააყენა: **„ბრალდებულებმა გამოძიებიდან მოყოლებული არაერთხელ შეცვალეს ჩვენებები. პრემიერის გარდაცვალების მიზეზი, ჩემთვის, როგორც გამომძიებლისთვის, საეჭვოა“.**

მოწმემ განაცხადა, რომ ჟვანიას საქმის საგამოძიებო მოქმედებები სწორედ მან ჩაატარა. მას დეტალურად ჰქონდა შესწავლილი პრემიერისა და განსასჯელების გადაადგილების მარშრუტი 2005 წლის 2 თებერვალს. პროკურორებს სწორედ ამის დემონსტრირება სურდათ. დარბაზში მათ საპრეზენტაციო დაფაზე დამაგრებული თბილისის რუქა შემოიტანეს, სადაც დეტალურად იყო აღწერილი ქუჩები და ადგილები, რომლებიც პრემიერმა და განსასჯელებმა იმ დღეს გაიარეს. თავდაპირველად, დაცვის მხარემ გააპროტესტა პროკურატურის შუამდგომლობა და განაცხადა, რომ რუკის შესახებ ინფორმაცია პროცესის დაწყებამდე უნდა ჰქონოდათ, თუმცა მოსამართლემ წარმოდგენილი რუკა დასაშვებად სცნო.

სამწუხაროდ რუკისთვის თვალის დევნებას მხოლოდ სასამართლოს პირველ ფლანგში მჯდარი ადამიანები: მოსამართლე, პროკურორები, დაცვის მხარე, ნაფიცი მსაჯულები და განსასჯელები ახერხებდნენ, თუმცა ზოგიერთი დეტალი მაინც თვალსაჩინო გახდა. კერძოდ, სატელეფონო ამონაწერებიდან გაირკვა, რომ ჟვანიას სავარაუდო გარდაცვალების შემდეგ კობა ხარშილაძესთან ძაძამიას პირველი ზარი 03:34 წუთზე დაფიქსირდა. ამ დროისათვის ის მალევე გამოვიდა სახლიდან და გლდანიდან საბურთალოს ქუჩის მიმართულებით დაიძრა. დაახლოებით 04:05-04.24 წუთამდე ის უკვე ძაძამიასთან ერთად იყო. ანძიდან მიღებული ინფორმაციის გაშიფვრისას დარბაზში მოულოდნელად შუქი ჩაქრა. ერთსაათიანი ლოდინის შემდეგ, მოსამართლე ეკა არეშიძე იძულებული გახდა, პროცესი 31 ივლისისთვის გადაედო. ამ დღეს, სასამართლო პროცესი ჟვანიას საქმის ყოფილი გამომძიებლის გიორგი ლომიძის დაკითხვით გაგრძელდება.

IDF საზაფხულო ბანაკის საგზური

/მონაწილის სახელი და გვარი/

/ასაკი კლასი/ლეგიონი/ბანაკში ადგილი/ტელეფონი

/ტელეფ. რაიონი/

/მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი/

მშობლის (ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის) წერილობითი თანხმობა საზაფხულო ბანაკებში მონაწილეობის შესახებ

მე, _____

/მშობელი ან მასთან გათანაბრებული პირის სახელი და გვარი, პირადი მოწმობა, მისამართი/

/მსურველი იმყოფებოდეს ტელეფონი, მეილი/

გავეცანი საზაფხულო ბანაკის „შიდა განწესს", და თანახმა ვარ აღნიშნულმა პირმა მონაწილეობა მიიღოს საზაფხულო ბანაკში: "IDF საზაფხულო ბანაკი", რისთვისაც ეზრუნველყოფ საჭირო რესურსით.

ამასთან, ვადასტურებ, რომ აღნიშნული პირის ბანაკში მონაწილეობასთან დაკავშირებული უარყოფითი (ქრონიკული და ინფექციური) შემაფერხებელი გარემოება არ არსებობს. (ეპილეფსია, დიაბეტი, კრონი, ჰეპატიტი და ა.შ.)

ინფორმაციის გაზრდა არასრულად ან არაზუსტად მიწოდების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრება ხელის მომწერ მშობელს (მასთან გათანაბრებულ სხვა პირს).

თანხმობას ვადასტურებთ ხელმოწერით.

_____ _____

მშობლის ხელმოწერა თარიღი

3.0-ის რაიონული კოორდინატორის ხელმოწერა (რაიონი მიუთითეთ) _____

შენიშვნა: მშობლის თანხმობის გარდა იგზავნება მხოლოდ 18 წლამდე ასაკის მონაწილისთვის.

არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიცია“ სკანდალურ დოკუმენტებს ასაჯაროებს

როგორ იბირებენ ნაციონალები მოზარდებს პოლიტიკაში და რა საერთო აქვს ცეზარ ჩოჩელს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბანაკებთან?!

ლაშა სვანიძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიციის“ აღმასრულებელი დირექტორი გურამ ადამაშვილი ამტკიცებს, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები მოზარდების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას გიორგი ვაშაძის მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია „ინოვაციებისა და განვითარების ფონდის“ ორიგრამა „სახელმწიფო 3:0“-ის მეშვეობით ცდილობს. როგორ იბირებენ ნაციონალები მოზარდებს პოლიტიკაში, კონკრეტულად ვინ არის ამ საქმეში ჩართული და რა კავშირი აქვს ცეზარ ჩოჩელს საზაფხულო ბანაკებთან? გურამ ადამაშვილი „ვერსიას“ სკანდალურ დოკუმენტებს აწვდის და კონკრეტულ გვარებსაც უსახელებს:

— ბატონო გურამ, რა ინფორმაციას ფლობთ გიორგი ვაშაძის და მის მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია „ინოვაციებისა და განვითარების ფონდის“ საქმიანობასთან დაკავშირებით? რატომ გახდა თქვენი სამიზნე ნაციონალური მოძრაობის ეს დაჯგუფება?

— მოგახსენებთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიციამ“ ცოტა ხნის წინ პრესკონფერენცია მიუძღვნა თემას, როგორ ცდილობს ნაციონალური მოძრაობა მოზარდების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას გიორგი ვაშაძის მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის, „ინოვაციებისა და განვითარების ფონდის“ პროგრამის, „სახელმწიფო 3.0“-ის მეშვეობით.

მინდა გითხრათ, რომ მსგავსი ვითარება ინტენსიურად გრძელდება პრაქტიკულად ყველა რეგიონში, რაც თავისთავად, მეტად სოლიდურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს მოითხოვს. ასე, მაგალითად:

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ბორჯომის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ვახტანგ ქვათაძეს, მოზარდების ბანაკებში ავტოტრანსპორტით გადანაწილებისა და მათი ექსკურსიებზე წაყვანის მიზნით, მოლაპარაკება ჰქონდა ბენზოგასამართი სადგურების ქსელ „ფრეგოს“ ხელმძღვანელობასთან, დიდი რაოდენობის — 35 ტონა დიზელის შესყიდვის თაობაზე, რაც დაახლოებით 70 000 ლარს შეადგენს. ამ ოდენობის საწვავის შესყიდვის საჭიროება იმაზე მიანიშნებს, რამდენად დიდია მასშტაბები და ფინანსები, რომლითაც ვაშაძის ორგანიზაცია, საზაფხულო ბანაკების მეშვეობით, ეცდება პოლიტიკური წნეხის ქვეშ მოაქციოს და იდეურად მოწამლოს ახალგაზრდები.

C5. ქვემოთჩამოთვლილთაგან, რომელიმე თუ გაგიკეთებიათ, ან გააკეთებთმომავალში, ან მონაწილეობასმიიღებთ

		გამიკეთებია ბოლო წლისპერიოდში	კი, უფროადრე	არამაგრამგ ავაკეთებმომავალში	არა და არც ვაპირებ	მიჭირსპასუხი
C5.1	პეტიციაზეხელმოწერა	1	2	3	4	99
C5.2	დემონსტრაციასიმონაწილეობა	1	2	3	4	99
C5.3	გაფიცვა	1	2	3	4	99
C5.4	პოლიტიკურშეკრებაში, მიტინგშიმონაწილეობა	1	2	3	4	99
C5.5	პოლიტიკურიშეხედულების, დამოკიდებულებისგამოხატვაინტე	1	2	3	4	99

— გარდა ამ ფაქტისა, რაც აღნიშნულ ბენზოგასამართ სადგურს და იქიდან საწვავის შესყიდვას ეხება, კიდევ შეგიძლიათ დაასახელოთ კომპანიები, რომლებიც პროცესში არიან ჩართულები?

— ჩვენი ინფორმაციით, სხვა კოჰაბიტირებულ „ნაცბიზნესმენებთან“ ერთად განსაკუთრებული გულუხვობით გამოირჩევა მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი, სააკაშვილის პრეზიდენტობისას ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელი ბიზნესმენი ცეზარ ჩოჩელი, რომელიც ამ პროექტის საჭიროებისათვის გიორგი ვაშაძეს ათობით ტონა გამაგრილებელი სასმელისა და ათასობით მაისურის გამოყოფას დაპირდა ფეშქაშად.

თუმცა, აღსანიშნავია რომ ასეთი დიდი ფინანსური და მატერიალური რესურსების არსებობის მიუხედავად (რომლის წარმოშობის კანონიერება ბევრ ლოგიკურ კითხვას ბადებს), „ინოვაციების და განვითარების ფონდის“ მესვეურები პროექტის ,,სახელმწიფო 3.0“-ის ფარგლებში პირად ფინანსურ ინტერესებსაც დებენ. კერძოდ, ისინი თბილისში მცხოვრებ ყოველ ახალგაზრდას დასვენების სანაცვლოდ 30, ხოლო რეგიონებში მცხოვრებლებს 25 ლარს ახდევინებენ.

მინდა მოვუწოდო სამართალდამცავ და საგადასახადო ორგანოებს, დაინტერესდნენ „ინოვაციების და განვითარების ფონდის“ კოლოსალური დაფინანსების კანონიერებით, სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხებით და დროულად მოახდინონ რეაგირება ასე აშკარად კორუფციულ „ინოვაციაზე“. ის, რომ აღნიშნული პროექტი წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა და ახალგაზრდა თაობის „ტვინის გამორეცხვის“ მიზანს ისახავს, იმითაც დასტურდება, თუ ვინ არიან პროექტის რეალიზებაში აქტიურად ჩართულნი.

— შეგიძლიათ კონკრეტული პიროვნებების დასახელება?

— მოგახსენებთ: 1. აჭარა — ქობულეთის კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორი დავით მჭედლიშვილი, ნაციონალური მოძრაობის წევრი. 2. ფოთი — ნაციონალური მოძრაობის წევრი სოფიო ჭანტურია. 3. თბილისი — ნაციონალური მოძრაობის წევრი ლევან ხაბეიშვილი (ვაშაძის ახლო მეგობარი. სწორედ ვაშაძემ წარადგინა ლევან ხაბეიშვილი 2014 აპრილში ვარკეთილის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად, რომელიც ამავდროულად არის არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ ხელმძღვანელი) 4. სენაკი — ნაციონალური მოძრაობის წევრი ლაშა კუჭავა. 5. ბაღდათი — ნაციონალური მოძრაობის წევრი გურამ კიკნაველიძე. 6. ხარაგაული — ნაციონალური მოძრაობის წევრი ქეთევან ზუმბაძე. 7. ხონი — პარლამენტარი აკაკი ბობოხიძე და ხონის ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ლაშა გედენიძე. 8. კასპი — ნაციონალური მოძრაობის წევრები და ამავდროულად არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველო — დამოუკიდებლობისა და ინტეგრაციისათვის“ თავმჯდომარე რობერტ კავთიაშვილი და ამავე ორგანიზაციის წევრი თინათინ თანდიაშვილი. 9. ამბროლაური — ნაციონალური მოძრაობის წევრი ამირან ლომთათიძე. 10. ქუთაისი — ნაციონალური მოძრაობის წევრი მონიკა მარღანია, ენმ-ს ლიდერების ფავორიტი. 11. მცხეთა-მთიანეთი — ნაციონალური მოძრაობის წევრი თინა ბანცური. 12. თერჯოლა — ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე სოფიო სიუკაევა. 13. ტყიბული — ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ფორჩხიძე. 14. ონი — „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ეკატერინე ბერიაშვილი და ონის ენმ-ს თავმჯდომარე ოთარ ბურდულაძე. 15. თეთრიწყარო — ნაციონალური მოძრაობის წევრი თამარ დალაქიშვილი. 16. რუსთავი — ნაციონალური მოძრაობის წევრი გოჩა ყოლბაია...

გარდა ამისა, პროექტის მხარდამჭერები არიან: „ახალგაზრდა ევროპელები“, „მედიატორი“, „სამეგრელოს განვითარების ცენტრი“, „თომას ჯეფერსონის კვლევითი ცენტრი“, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის ცნობილ სატელიტებს წარმოადგენენ.

ჩვენ მოვიპოვეთ „3:0“-ის საზაფხულო ბანაკის საგზურის ფორმაც, სადაც მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობაა საჭირო, სადაც ხელმომწერი თანხმობას აცხადებს, რომ ამა თუ იმ მოზარდმა მონაწილეობა მიიღოს საზაფხულო ბანაკში, რისთვისაც საჭირო რესურსით უზრუნველყოფის ვალდებულებას თავად ხელმომწერი იღებს, თუმცა არაფერია ნათქვამი, რა იგულისხმება საჭირო რესურსით უზრუნველყოფაში.

და ამავე დროს, ერთ ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტზეც მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო. „პოზიციამ“ მოიპოვა „ინოვაციებისა და განვითარების ფონდის“ პროგრამის — „სახელმწიფო 3.0“-ის ხაშურისა და ქარელის რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელების, იოსებ ბუაძისა და ეკა მამიჯანაშვილის მიერ გაცემული წერილობითი მითითება, რომ ორგანიზაციის აქტიურმა წევრებმა 23 ივლისიდან 1 აგვისტომდე ჩაატარონ ვრცელი სოციოლოგიური გამოკითხვა და გამოიკვლიონ მოსახლეობის განწყობა, მათ შორის პოლიტიკური განწყობა რეგიონებში. აღსანიშნავია, რომ კითხვარები სულ 16 გვერდს მოიცავს.

— ამგვარი გამოკითხვის ჩატარებაში უკანონო რა არის?

— ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური ხასიათის შეკითხვებზე პოტენციურად პასუხის გამცემთა ასაკობრივი ჯგუფები, რომელიც კითხვარების ბოლოსაა მითითებული, რომლის მიხედვითაც რესპონდენტთა ასაკი 14 წლიდან იწყება. (14-18 წლამდე ასაკის). მოგეხსენებათ, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის პოლიტიკური ხასიათის შეკითხვების დასმა და ზოგადად მათი პოლიტიზირება მიზანშეწონილი არ არის.

ვაშაძის ორგანიზაციის მიერ შედგენილი პოლიტიკური შეკითხვებიდან გამოვყოფდით რამდენიმეს: ანკეტაში წერია — ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე თუ გაგიკეთებიათ, ან გააკეთებთ მომავალში — დემონსტრაციაში მონაწილეობა, გაფიცვა, პოლიტიკურ შეკრებებში, მიტინგებში მონაწილეობა, პოლიტიკური შეხედულების, დამოკიდებულების გამოხატვა ინტერნეტში. და ამას ეკითხებიან 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანებს, რაც კანონდარღვევაა და პირდაპირ გვაგონებს გერმანიის „ჰიტლერიუნგენდის“ — ნაცისტური პარტიის ერთადერთი ახალგაზრდული ორგანიზაციის იდეოლოგიას.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ამგვარი პროცესების გააქტიურება ნამდვილად გვაშფოთებს და მოზარდებსა და მშობლებს მოვუწოდებთ, თავი შეიკავონ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების მსგავს შეთავაზებებში მონაწილეობისგან.

ვერსიანიუსი

ხურვალეთიდან ოკუპანტების მიერ გატაცებული მამაკაცი გათავისუფლებულია

გორის რაიონის სოფელ ხურვალეთიდან, საოკუპაციო რეჟიმის მიერ გატაცებული, 45 წლის დავით ხუროშვილი უკვე სახლშია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის, შალვა ენუქიძის განმარტებით, ხუროშვილის 28 ივლისს გაათავისუფლეს: **„ის უკვე საკუთარ სახლში იმყოფება. მასზე არანაირი ფორმის ზეწოლა არ განხორციელებულა, მამაკაცი თავს კარგად გრძნობს“.**

25 ივლისს, საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა, გორის რაიონის სოფელ ხურვალეთიდან, 45 წლის დავით ხუროშვილი გაიტაცეს. გატაცებული მამაკაცი ცხინვალის იზოლატორში ჰყავდათ მოთავსებული.

„პირველი“

ექსკლუზიური ინტერვიუ დიდი ბრიტანეთის ელჩის მოადგილესთან

„მოკლე დროში უდიდესი მანძილი დაფარეთ ევროპისკენ მომავალ გზაზე, ამით ძალიან უნდა იამაყოთ!“

მაკა ლომაძე
555-27-95-13

ჯონ გედესი ევროპის მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, უდიდესი კულტურის და ისტორიის მქონე ქვეყნის, დიდი ბრიტანეთის ელჩის მოადგილე და კონსულია. წარმოშობით შოტლანდიელია. ჰყავს მეუღლე, 15 წლის ვაჟი და საყვარელი ძაღლი. მისი აღმატებულება, ინგლისისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ქალბატონი ალექსანდრა ჰოლ ჰოლის არყოფნის დროს, ელჩის მოვალეობის შემსრულებელიცაა. ბატონ გედესთან ინტერვიუ, მისი მისიის ამოწურვამდე ცოტა ხნით ადრე, საქართველოში ყოფნის ბოლო დღეებში ჩავწერეთ. ჯონ გედესი საქართველოთი აღფრთოვანებულია და არ გამორიცხავს, ჩვენს ქვეყანას მომავალში ელჩის სტატუსით დაუბრუნდეს.

— პროფესიით დიპლომატი ვარ. ამ სფეროში 30 წლის სტაჟი მაქვს. სხვა განხრით არც მიმუშავია. თქვენს ქვეყანაში ჩამოსვლამდე, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი, მანამდე კი კენიაში ვმსახურობდი — გაეროს მუდმივმოქმედი წარმომადგენლის მოადგილე ვიყავი გარემოს დაცვის სფეროში. საქართველოში კი, ჩემი, როგორც მისიის ხელმძღვანელის, ან სხვა სიტყვებით, ელჩის მოადგილის მოვალეობაა, ვმართო საელჩო, რომ ელჩს წვრილმანებისთვის თავის შეწუხება არ მოუხდეს და მაღალი დონის პოლიტიკურ საკითხებზე იფიქროს — მეურვეობას ვუწევ საელჩოს ნებისმიერ სექტორს, მეთვალყურეობას ვაწარმოებ, რამდენად კარგად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს თითოეული დეპარტამენტი... როცა ელჩი მიდის, მის მოვალეობებს მთლიანად ვითავსებ და ასე ვთქვათ, ორი სამსახური მაქვს.

— რა არის ახლა დიდი ბრიტანეთის პრიორიტეტული სფეროები საქართველოში?

— კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები, ეფექტური მმართველობა, იმ რეფორმების განხორციელება, რომლებიც გათვალისწინებულია ევროკავშირთან ხელმოწერილ ასოცირების ხელშეკრულებითა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონით; რა თქმა უნდა, საქართველოს დახმარება, მოიპოვოს ევროკავშირის და ნატო-ს წევრობა. ჩვენი მთავარი მიზანია, საქართველოს ამ გარდამავალ პერიოდში დავეხმაროთ. ეს გულისხმობს ასევე მეტი ბრიტანული კომპანიის დაინტერესებას და მოზიდვას. ასევე პირიქით — მეტმა ქართულმა კომპანიამ შეხედოს დიდ ბრიტანეთს, როგორც სავაჭრო პარტნიორს. კარგი იქნებოდა, ჩავრთულიყავით ფართო პროექტებში. ამ მხრივ, დიდ ბრიტანეთს საკმაო კომპეტენცია აქვს და ვფიქრობ, წარმატებული თანამშრომლობა შედგება. თუმცა, ეს ყველაფერი, საელჩოს საქმეა. ჩემი, როგორც კონსულის მოვალეობა კი ისაა, ვიზებსა და პასპორტებზე თუ რაიმე პრობლემა შეექმნება საქართველოში მომავალ ბრიტანეთის მოქალაქეს, მოვუგვარო.

— გაიზარდა თუ არა უფასო ტრენინგების რიცხვი და სტიპენდიები ინგლისში ქართველი სტუდენტებისა და პროფესიონალებისთვის?

— ჩვენ გვაქვს ჩივნინგის სტიპენდიები, რომელზეც კანდიდატების რიცხვი გასამმაგდა. განაცხადების შეტანა დაიწყება დაახლოებით აგვისტოს შუა რიცხვებში და თითქმის ორი თვე გაგრძელდება. სფეროები, როგორც წესი, ჩვენი პრიორიტეტების შესაბამისად იცვლება. ჩვენი ერთ-ერთი პარტნიორი ბანკის გამო (მისი პრიორიტეტი, ბუნებრივია, ბიზნესია), სფეროების საკმაოდ საინტერესო ჩამონათვალი გამოგვდის. თუმცა, ეს არ არის მხოლოდ გრანტი. საკმაოდ რთული კრიტერიუმებია. პრეტენდენტები უნდა იყვნენ კარიერის შუაგულში, მაგალითად: მინისტრების მოადგილეები ან მინისტრები, რომლებიც უფრო მაღალ თანამდებობებს უმიზნებენ – მაგალითად, სურთ გახდნენ ელჩები... ასე, რომ ეს საკმაოდ დიდი ტრამპლინია. ასევე გვაქვს ახალი პროგრამა სახელწოდებით „კარგი მმართველობის ფონდი“, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა კომუნიკაცია. მისი მიზანია, ქართულ საზოგადოებას, ჟურნალისტების საშუალებით, სწორი გზავნილები მივაწვდინოთ, მათ შორის, რუსეთის შესახებაც. ეს პროგრამა ჯერ მხოლოდ განხილვის პროცესშია, მაგრამ რადგან დაფინანსება ბრიტანეთის მოქალაქეებისგან მოდის, ჯერ ქვეყანამ უნდა გადაწყვიტოს, იარსებებს თუ არა.

— თქვენი მისია მალე იწურება. როგორი შთაბეჭდილებით მიდიხართ საქართველოდან?

— როგორც დიპლომატისთვის, მრავალი მიზეზის გამო, არაჩვეულებრივი პოსტი იყო — პოლიტიკური თვალსაზრისით, აქ მუშაობა, დიპლომატისთვის ძალიან საინტერესოა. ისევე, როგორც ყოფილი საბჭოთა ყველა რესპუბლიკა, რომელმაც ბოლო წლებში, დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება დაიწყო. განსაცვიფრებლად საინტერესოა, როცა ასეთ ქვეყანაში მთავრობისა და ოპოზიციის ურთიერთდამოკიდებულებას, დუღილის ტემპერატურის მატებას აკვირდები. საინტერესოა პრეზიდენტისა და პრემიერის დამოკიდებულებაც ახალ სისტემაში. გაერთიანებული სამეფო 400 წელი გადიოდა დემოკრატიული ექსპერიმენტების პერიოდს. ამ ფონზე, გამოგნებელია, რომ ევროპასთან შედარებით, თქვენ დრო არც დაგჭირდათ. რა თქმა უნდა, ყველაფერი სრულყოფილად არაა, თუმცა, ზოგადად დემოკრატიაშიც არაა ყველაფერი სრულყოფილი. იქნებ, სწორედ ეს არის მისი ერთ-ერთი ხიბლიც, რადგან ყოველთვის რჩება სივრცე გაუმჯობესებისთვის. თქვენი რეგიონიც სპეციფიკურია საინტერესო მეზობლებით. ვწუხვართ იმის გამო, რაც მოხდა 2008 წელს და რაც ახლა ხდება უკრაინაში. კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს ურყევ მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი. რაც მალე დაიბრუნებს საქართველო დაკარგულ ტერიტორიებს, მით უკეთესი.

— თუ ქვეყანა 2008 წლის მსგავსი საფრთხის წინაშე დადგა, ევროკავშირის მხრიდან, რა დამცავი მექანიზმი შეიძლება ამოქმედდეს?

— მგონი, საქართველოს საუკეთესო თავდაცვა იქნება, შეინარჩუნოს დასავლეთისკენ სწრაფვა. ნებისმიერი ქართველი გეტყვით, რომ ევროპასთან ბევრად მეტი საერთო აქვს, ვიდრე ყოფილ საბჭოთა კავშირთან. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, თქვენ უდიდესი მანძილი დაფარეთ ევროპისკენ მომავალ გზაზე. ბოლო არჩევნებმა აჩვენა, რამდენად ცივილურად შეგიძლიათ მისი ჩატარება, ყოველგვარი ძალადობის გარეშე — ბრწყინვალე შედეგია! ეს ყველგან ასე არ ხდება. ამით ძალიან უნდა იამაყოთ. რაც მეტად მტკიცედ აირჩევს საქართველო ევროპულ პერსპექტივას, რაც მეტად გაიზიარებს ევროპულ აზროვნებას, დემოკრატიულ ღირებულებებს, მით უკეთესი. ის უკვე არის ევროკავშირის ასპირანტი ქვეყანა, რომელმაც ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ძალიან რთული იქნება თქმა, როდის გახდება საქართველო ევროკავშირის სრული წევრი. ეს არავინ იცის. ასევეა ნატო-ს შემთხვევაშიც. ფაქტი, რომ ქართული საჯარისო ნაწილები ავღანეთში სამხედრო შეიარაღების დროს იბრძვიან და ქართველი სამხედროები იღუპებიან, აჩვენებს, რომ ერთი იდეალებისთვის ვიბრძვით. თუმცა, ზოგი სახელმწიფო დომინაციას დაშინებით და შევიწროებით ცდილობს.

როგორც რიგით ადამიანს, ძალიან მომწონს აქაურობა. კარგი კლიმატი გაქვთ და საოცარი ბუნება. რატომ არ მოუნდება კაცს აქ ცხოვრება? უამრავი ადგილია სანახავი. ჩემს ბიჭს ძალიან მოეწონა საქართველო და ერთ ზაფხულს, აქ 9 კვირა გაატარა. ჩემს ძაღლსაც მოსწონს. გული ძალიან მწყდება, რომ უფრო ადრე მივდივარ, ვიდრე მიწევდა. საქართველო ჩემი პირველი არჩევანი იყო, ამიტომ მოხარული ვარ, რომ აქ მომიწია მუშაობა. ვინ იცის, იქნებ, ერთ დღეს ელჩის რანგშიც დავბრუნდე!

ესპანეთმა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ესპანეთის სამეფომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა.

საგარეო უწყების ინფორმაციით, 2015 წლის აპრილში ესპანეთის საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატამ — კონგრესმა მოახდინა შეთანხმების ავტორიზაცია, რის შემდგომაც 27 მაისს მოხდა მისი რატიფიცირება სენატში. საბოლოოდ, რატიფიცირების პროცესი დასრულდა ესპანეთის მეფე ფელიპე VI-ის მიერ ივლისის შუა რიცხვებში ხელმოწერის დასმით, რაც ოფიციალურად 28 ივლისს ეცნობა ბრიუსელს.

დოკუმენტის რატიფიცირება შემდეგმა ქვეყნებმა მოახდინეს: ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, მალტა, სლოვაკეთი, შვედეთი, უნგრეთი, ესტონეთი, ხორვატია, დანია, ირლანდია, გაერთიანებული სამეფო, ფინეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, პოლონეთი, ჩეხეთი, პორტუგალია, სლოვენია, კვიპროსი, ნიდერლამდების სამეფო, ავსტრია და ესპანეთის სამეფო.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება ევროპარლამენტშიც მოხდა.

„პირველი“

„ეს პირველი ოქროს მედალია და მჯერა, ქართველები კიდევ ბევრ ოქროს ავიღებთ“

ქართველმა ძიუდოისტმა რობინზონ ბეგლარაშვილმა საქართველოს ოლიმპიურ ფესტივალზე პირველი ოქროს მედალი მოუტანა. მან 60-კილოგრამიან წონით კატეგორიაში იტალიელი მანუელ ლომბარდო დაამარცხა და ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის პირველი ქართველი გამარჯვებული გახდა.

ბეგლარაშვილმა ნახევარფინალურ შეხვედრაში ჰოლანდიელი ლარს კანტიუსი დაამარცხა. მანამდე კი ბეგლარაშვილმა სომეხი ძიუდოისტი ტიგრან ბადალიანი და აზერბაიჯანელი ისმაილ იბრაჰიმოვი დაამარცხა.

ქართველი ძიუდოისტის ფინალურ შეხვედრას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ესწრებოდა.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს სჯეროდა, რომ ქართველი ძიუდოისტი, რობინზონ ბეგლარიშვილი გაიმარჯვებდა. მთავრობის მეთაური იმედოვნებს, რომ ქართველი სპორტსმენები კიდევ ბევრ ოქროს მედალს მოიპოვებენ: **„ჩვენ, რა თქმა უნდა, გვჯეროდა გამარჯვების. მან ძალიან გაგვახარა. ეს არის პირველი ოქრო და მჯერა, რომ კიდევ ბევრ ოქრის ავიღებთ“.**

ქართველმა ძიუდოისტებმა ბაგრატ ნინიაშვილმა და ნატალია ყიფშიძემ კი, ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

„პირველი“

ძროხის ქურდის უცნაური თვითგვემა

რაფომ მოიჭრა სასქესო ორგანო კახელმა პატიმარმა და რაფომ უყიდეს სამართალდამცავებმა მის ოჯახს სახლი კახეთში

პატიმარი №0578

ნაციონალური მოძრაობის დროს პატიმრები შავ დღეში კი იყვნენ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ედუარდ შევარდნაძის პერიოდში ციხეებში სრული განუკითხაობა იყო. მაშინ ციხეში მოხვედრაც შარი იყო და თუ ფული გქონდა, ამას ასცდებოდი, მაგრამ თუ მაინც გისოსებსმიღმა აღმოჩნდებოდი, „კანონიერი ქურდების“ ხელში ვარდებოდი. „ობშჩიაკის“ ფული, ისე ფული, მსუყე ამანათი... ეს ყველაფერი მძიმედ აწვა პატიმრების ოჯახს. ამას გარდა, თუ უპატრონო კაცი ჩაუვარდებოდათ ხელში, იმდროინდელი მილიცია მაქსიმალურად ცდილობდა სხვა დანაშაულების აკიდებას, წლის ბოლოს გაუხსნელი საქმე რომ არ „შეტენვოდათ“.

ბადრი მ. სასჯელს რუსთავის №17 დაწესებულებაში იხდიდა. მიზეზი საქონლის ქურდობა იყო, მაგრამ რადგანაც კახელებში ე.წ. ჩლიქოსნობა არ „ტეხავდა“, ბადრის არავინ ეხებოდა. სასჯელს ჩვეულებისამებრ იხდიდა. გამორჩეული კახური იუმორი ჰქონდა. ერთ დღეს, როცა პატიმრები აბანოში იყვნენ, ერთმა პატიმარმა მოულოდნელად შეჰკივლა და ბადრის ხმამაღლა, ყველას გასაგონად უთხრა: „შენ რა, მუსულმანი ხარ?!“

ბადრის გაეღიმა და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია, თუმცა აშკარა იყო, რომ სასქესო ორგანოზე კანი კი არა, დიდი ნაწილი ჰქონდა მოჭრილი.

„აბა, რა გჭირს?!“ — არ მოეშვა პატიმარი.

„ბიჭო, შენ ამის გარდა სხვა საყურებელი ადგილი არ გაქვს? გაიხედე, იქ ცემზავოდის ტრუბა ჩანს, იქეთ კიდევ „ვიშკა“, იმას უყურე, ამას რას უყურებ?“ — გაუბრაზდა ბადრი.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა პატიმრები ბადრის კამერაში ყავას სვამდნენ, №0578-მა ღიმილით უთხრა: „საკუთარი ხელით ასოს რომ არავინ მოიჭრის, ფაქტია. ვინ გაგიმეტა ასე, არ იტყვი?“

„თავის ნებით ქნა ეს საქმე, თავის ნებით. საკუთარი მარჯვენით, მაგრამ შარი ხეირად ექცა“, — გაიღიმა ერთ-ერთმა კახელმა და ბადრისაც ჩაეღიმა. ამან №0578 სულ გადარია, რას ჰქვია, საკუთარი ხელით მოიჭრა, მომიყევითო და ბადრიმაც დაიწყო.

„მე სულ „პრისტუპნიკი“ კი არ ვიყავი. ჩემზე პატიოსანი კაცი არ დადიოდა ამ ქვეყანაზე. ჰოდა, ერთ დღეს თავზე დამემხო ყველაფერი. პოლიციამ დამიჭირა და გინდა თუ არა, ყაჩაღობა აიღე შენს თავზეო. არ ავიღე და მომკლეს კინაღამ ცემაში. ცემით რომ არაფერი გამოვიდა, მაშიმშილეს. შიმშილობაც არის და შიმშილობაც — რამდენიმე დღის ნაშიმშილებს საკნის წინ შემწვარ ხორცს მიდებდნენ და იმის სუნზე გონებას ვკარგავდი. გარეთ ჩემები გავდნენ გიჟს და ბოლოს უთხრეს მილიციას, გიჩივლებთო. ჰოდა, ჩემი მოკვლა გადაწყდა, თუმცა რაც უნდა იყოს, კაცის მკვლელობა არ არის მარტივი. თავზე ვერავინ აიღო და მერე მოუფიქრებია ერთს, დანა შევუგდოთ, თავისით გამოუყვანს წირვას თავს და ჩვენც თვითმკვლელობას დავაფიქსირებთო. მართლა შემომიგდეს დანა საკანში. ახლაც არ ვიცი, რატომ და როგორ. ავდექი, შარვალი ჩავიწიე, სასქესო ორგანოს ხელი მოვკიდე, გამოვქაჩე და დავუსვი. მერე არაფერი მახსოვს, აზრზე საავადმყოფოში მოვედი. ქვედა მხარე მთლიანად დაბინტული მქონდა, ხელები კი დაბმული. ექიმებმა გადაწყვიტეს, გაგიჟდაო და იმიტომ დამაბეს თურმე. რამე მაჭამეთ-მეთქი და ნელ-ნელა აზრზე მოვედი. მაშინ გავიაზრე, რა ვქენი. ჩემებმა თქვეს, მილიცია ყველაფერზე მოდის, ოღონდ არ იჩივლოსო. ცოლს თვალებში ვერ ვუყურებდი. როგორი საქმეა, ასეთი რამ ჩავიდინე, ცოლი მყავს და...

მოკლედ, პოლიციის უფროსი მოვიდა და რაც გინდა, მთხოვეო. ვუთხარი, მთელმა რაიონმა იცის ეს ამბავი, მანდ ვერ ვიცხოვრებ. კახელი ვარ წარმოშობით, ჩემს რაიონში სახლი მიყიდეთ-მეთქი. მეორე დღესვე ჩემებს ახალი სახლი ანახეს. არ იძუნწეს მილიციელებმა, მართლა კარგი სახლი იყიდეს თავის მიწით. როცა ყველაფერი დასრულდა და გამწერეს, დავჯექი და ჩემი სასქესო ორგანო დავათვალიერე. ერთი სათესლე ჯირკვალი მოჭრილი მქონდა და ზედ გვარიანად გავაყოლე სასქესო ორგანოს ნაწილიც. დავჯექი და ვფიქრობდი, თავი ხომ არ მოვიკლა-მეთქი და ბოლოს მაინც ექიმთან წავედი. გულდასმით გამსინჯა და მითხრა, პრობლემა არ გექნება, ეგ კი არა და შვილიც გეყოლებაო. გამეცინა, მეხუთე წელია ცოლი მყავს, მთელი ორგანოთი ვერ გავაკეთე შვილი და ამით რას ვიზამ-მეთქი...

წამოვედი სახლში და ნელ-ნელა შევეგუე მდგომარეობას. ჰოდა, ორი თვის შემდეგ ცოლმა რომ მითხრა, ორსულად ვარო, გავგიჟდი. არაფერი მითქვამს, იმ ექიმთან წავედი, რომელთანაც ვმკურნალობდი და ეს ამბავი მოვუყევი. გულდასმით გამსინჯა და მითხრა, როცა სასქესო ორგანო მოიჭერი, მაშინ ის მილი დააზიანე, რომელიც პრობლემატური იყო და სავარაუდოდ, სწორედ ის მილი გაიხსნა, იმას ნუ იფიქრებ, რომ ცოლმა სადმე გიღალატაო. ბავშვის დაბადებას ვერ გეტყვი, როგორ ველოდებოდი. ბიჭი გაჩნდა და ჩემი ორეულია. დიდი ხალი რომ მაქვს ფეხზე, ისიც კი გამოყვა. დავმშვიდდი. ახლა სამი ბიჭი მყავს და სამივეს აქვს ჩემი საფირმო ხალი. ეს ამბავი პოლიციის უფროსმა რომ გაიგო, დამირეკა და ისიც მითხრა, მაღარიჩი იკისრე, ჩვენ გიმკურნალეთო“, — დაასრულა მოყოლა ბადრიმ.

„და თუ პატიოსანი კაცი იყავი, საქონლის ქურდობა რატომ დაიწყე?!“ — გაუღიმა №0578-მა.

„გამაბოროტეს. მესაქონლეობას მივყავი ხელი და ერთ ღამეში 18 სული ძროხა მომპარეს. გავცოფდი. აქეთ ბანკის კრედიტი და იქეთ მშიერი ოჯახი. გავიგე, აზერბაიჯანელებმა წაიყვანესო. ჰოდა, გადავედი მეც აზერბაიჯანელების სოფელში და ზუსტად 18 ძროხა გამოვირეკე. ხახვივით შემრჩა. მერე დავფიქრდი და ერთი რეისი კიდევ მოვარტყი. ეგეც შემრჩა და ასე დავიწყე საქონლის ქურდობა. მერე სხვები გავიცანი, ამ საქმის პროფესიონალები და ერთ წელიწადში აზერბაიჯანელების ძროხებით სამივე ბიჭს სახლი ვუყიდე სოფელში. იცი, როგორ არის? მინდორში გახვალ მანქანით, საქონელს სპეციალური სუნის მქონე სითხეს აუბოლებ და მანქანას დაძრავ. ამ სუნს მოსდევს საქონელი და ასე, სირბილით ერთ საათში შეიძლება 20-30 კილომეტრიც კი გაატარო. შოკში იყვნენ პოლიციელები, ვერ გვიჭერდნენ, რადგან ახლო-მახლო ეძებდნენ და წარმოიდგინე, მოპარვიდან 1 საათში ამხელა მანძილზე რომ გყავს უკვე წაყვანილი. მერე ისე მოხდა, რომ მთელი ნახირის გარეკვა მოვინდომეთ და მანქანა გადათელეს. სწორედ მაშინ დაგვადგა პოლიცია. ჰოდა, ვარ ახლა აგერ და გიყვები ამ ამბავს“.

„სწორად გამიგე, რასაც გეტყვი, მაგრამ კაცი რომ ოჯახის მარჩენალ ძროხას მოიპარავს, მერე ამაზე სიამაყით ყვება, ვერ ჯდება ჩემს ტვინში და მომკალი თუ გინდა. რა ძროხის მოპარვა, შენ რომ მოგპარეს და ოჯახი მშიერი დამრჩაო, იმის ოჯახზე არ ფიქრობ?“ — ხმას აუწია №0578-მა.

„არ იცი შენ... ის მთელი ჩემი ავლადიდება იყო, აზერბაიჯანელებს კი აქეთ მწვანილი, იქეთ ცხვარი, მარტივად იტანენ“, — გაეღიმა ბადრის.

„ჰო, გარედან ჩანს ასე, რომ მარტივად იტანენ, რეალურად კი შეიძლება თქვენზე მეტად უჭირდეთ. ქურდობის თავი თუ გაქვს, ბანკი გაქურდე, აბა!“ — უთხრა №0578-მა.

„დაიკიდე, რა“, — ხელი აუქნიეს სხვებმაც.

„მე კი დავიკიდებ, მაგრამ ძროხის ქურდობისთვის 9-წლიან სროკს რომ იხდის კაცი, დაკიდება მაგას ჰქვია, თორემ არც ის ძროხები იყო ჩემი და არც წილი მოუციათ ამათ“, — თქვა №0578-მა და კამერიდან გავიდა.

ვერსიანიუსი

შსს-მ და შემოსავლების სამსახურმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით სამხრეთ აფრიკის მოქალაქე თბილისის აეროპორტში დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქე, 1986 წელს დაბადებული ნომახოსა პუმლა ვინიფრედ ნ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, საბაჟო პროცედურების გავლისას დააკავეს.

დადგინდა, რომ დაკავებულს ხელჩანთაში სპეციალური სამალავი ჰქონდა მოწყობილი, საიდანაც ქართველმა სამართალდამცველებმა 12 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით ამოღებული ნარკოტიკი გამომშრალი მარიხუანაა და მისი საერთო წონა 9 კილო და 700 გრამია. დაკავებული საქართველოში დოჰა-თბილისის რეისით ჩამოფრინდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

შსს-ს აკადემიაში განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის დაცვის კურსი დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებითა და მხარდაჭერით, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის დაცვის კურსი დაიწყო. ღონისძიება შინაგან საქმეთა აკადემიის რექტორმა ნუკრი გელაშვილმა და ბრიტანეთის თავდაცვის ატაშე ნიკ უილკესმა გახსნეს. 5 დღიანი კურსი მიზნად ისახავს შეასწავლოს მონაწილეებს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის დაცვისა და საზღვაო მეთვალყურეობის წარმოების ძირითადი პრინციპები და საკანონმდებლო ჩარჩო.

კურსს დიდი ბრიტანეთის საზღვაო ომის წარმოების სკოლის ექსპერტები გაუძღვებიან. ქართული საჯარო უწყებების გარდა, ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან უკრაინის საზღვაო ძალების წარმომადგენლები.

„ვერსიანიუსი“

ფსიქოტროპული ნივთიერებების ურეცეპტოდ გაცემის ფაქტზე 9 აფთიაქს ლიცენზია გაუუქმდა

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წლის 1 იანვრიდან 29 ივლისის ჩათვლით, ფსიქოტროპული ნივთიერებების ურეცეპტოდ გაცემის ფაქტებზე 69 ადმინისტრაციული ოქმია შედგენილი. გამოვლენილი სამართალდარღვევის გამო, 9 აფთიაქს გაუუქმდა ლიცენზია. დანარჩენ შემთხვევაში კი ფულადი სანქციები დაეკისრათ.

დადგენილების მიხედვით, ფსიქოტროპული ნივთიერების რეალიზაციის ფაქტებზე, პირველ ჯერზე ჯარიმა განისაზღვრება 6000 ლარის ოდენობით. მეორე და ყოველი შემდგომი შემთხვევა ითვალისწინებს ფულად ჯარიმას 12 000 ლარის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ფსიქოტროპული ნივთიერებების რეალიზაციის ფაქტი ერთი და იგივე აფთიაქში ერთი წლის განმავლობაში სამჯერ დაფიქსირდა, რეგულირების სააგენტო, სასამართლო დადგენილების საფუძველზე, უფლებამოსილია, აფთიაქს ლიცენზია გაუუქმოს.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მოქმედი კანონმდებლობა არ ზღუდავს, იმ აფთიაქის მეპატრონეს, რომელსაც ლიცენზია უკვე ჩამორთმეული აქვს, სამეწარმეო საქმიანობა იმავე ადგილას, თუმცა, ამჯერად სხვა სახელწოდებით დაიწყოს. სამინისტროს ინფორმაციით: „ცვლილებები კანონპროექტში უკვე შემუშავებულია, რომლის მიხედვითაც ლიმიტირებული გახდება ფსიქოტროპული აფთიაქების რაოდენობა და ნებართვა გაიცემა მხოლოდ ტერიტორული პრინციპით: თბილისის მასშტაბით, თითო უბანზე გაიცემა მხოლოდ 2 ნებართვა. თვითმმართველ ქალაქებში — 50 000 მოსახლემდე გაიცემა 1 ნებართვა. ყოველ შემდგომ 50 000 მოსახლეზე კი დამატებით გაიცემა კიდევ 1 ნებართვა; მუნიციპალიტეტებში გაიცემა არაუმეტეს 1 ნებართვისა“.

„პირველი“

ნანა ღაჭავა: „პედაგოგებს ყველანაირად მხარში დავუდგები“

№116 სკოლის ახალი დირექტორი სკოლაში შიდა აუდიტის შესვლას ითხოვს

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

№116 საჯარო სკოლას ახალი დირექტორი ჰყავს. ნანა ღაჭავა დირექტორის მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგა. ამ ფაქტში, თითქოს ისეთი არაფერია, სტატიის წერის სურვილი გაგიჩნდეს, რომ არა ერთი გარემოება — საუბარია, დედაქალაქის ერთ-ერთ დიდ სკოლაზე, რომელიც, წლების განმავლობაში, მუდმივად იყო დაკავშირებული სკანდალებთან. საქმე ის გახლავთ, რომ მიმდინარე წლის 17 ივლისამდე ამ სკოლის დირექტორი დიმიტრი მეჭურჭლიშვილი გახლდათ, რომელსაც განათლების სამინისტროსთან, რბილად რომ ვთქვათ, არც თუ სახარბიელო ურთიერთობა ჰქონდა. მეტიც, მეჭურჭლიშვილი, მინისტრ თამარ სანიკიძეს ღიად უპირისპირდებოდა. სანიკიძეს და მის პოლიტიკას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებელი დავით ფერაძეც. მეჭურჭლიშვილი ამტკიცებდა, რომ უწყებასთან დაპირისპირება მხოლოდ იმის გამო აქვს, რომ ახალი მინისტრის მოსვლისთანავე, მითითება მიიღო პედაგოგ დავით ფერაძის გათავისუფლებაზე, რაც არ გააკეთა და სანიკიძემ არ აპატია. მოკლედ, მეჭურჭლიშვილი-ფერაძე სინქრონში აცხადებდნენ, რომ სამინისტროს მხრიდან პოლიტიკურ დევნას განიცდიან.

პარალელურად, ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფდნენ განათლების სამინისტროში. ამბობდნენ, რომ პიროვნულად, ვინმეს მიმართ ინტერესი არ აქვთ, არც განსხვავებული შეხედულებების გამო ებრძვიან ვინმეს, უბრალოდ, კანონდარღვევების არსებობის შემთხვევაში თვალს არც ერთ სკოლაზე არ დახუჭავენ. რამდენიმე სკოლაში, განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ აღმოჩენილ გადაცდომებზე „ვერსია“ წერდა კიდეც. მათ შორის აუდიტის სამსახურის დასკვნა ექსკლუზიურად მოვიპოვეთ 116-ე სკოლაზეც, რომელ დოკუმენტშიც დავით ფერაძის გვარიც ფიგურირებდა — პედაგოგს, გარკვეული დარღვევა აღმოუჩინეს, რაზეც სამინისტრომ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რეაგირება მოახდინა.

„ვერსიაში“ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, დავით ფერაძემ რედაქციაში საპასუხო წერილი გამოაგზავნა, რომელშიც სტატიის ავტორს დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებდა და საკმაოდ არაკორექტულადაც მოიხსენიებდა. ფერაძის წერილი მაშინ უკომენტაროდ, უცვლელად დავბეჭდეთ იმიტომ, რომ მისთვისაც მიგვეცა პოზიციის დაფიქსირების საშუალება და კიდევ იმიტომ, რომ „ვერსიის“ სტატია ოფიციალურ დოკუმენტზე დაყრდნობით მომზადდა. თუმცა, ფერაძის ემოციური და არაკორექტული წერილი მკითხველს უკეთ მისცემდა საშუალებას, გაერკვია, სად ეწერა სიმართლე. ამის შემდეგ, თემას აღარ მივბრუნებივართ, მიუხედავად იმისა, რომ კულუარებში, მუდმივად იყო საუბარი №116 საჯარო სკოლაში არსებულ ბაკქანალიაზე — ამბობდნენ, დიმიტრი მეჭურჭლიშვილსა და დავით ფერაძეს, საგაკვეთილო პროცესის დროს, სკოლის შენობაში უცხო პირები შეჰყავთ, რაც აკრძალულია და განათლების სამინისტროს წინააღმდეგ აქციებს, სწორედ იქ გეგმავენო. ამბობდნენ იმასაც, რომ აღნიშნულ სკოლას ხშირად სტუმრობდნენ შაშკინის სხვა ფავორიტები — 53-ე სკოლის ყოფილი დირექტორი ტარას შავშიშვილი და მოგვიანებით მისი შემცვლელი, მარიამ რამინაშვილი. „კაცმა არ იცის, რა პოლიტიკური გეგმები იხარშება დირექტორის კაბინეტში“, — ამგვარი ფრაზები არაერთხელ გვსმენია, თუმცა მხოლოდ მოარული ხმების გამო სტატიის დაწერა და რთულად გადასამოწმებელი ინფორმაციის გავრცელება, არ ვიკადრეთ. ეს „ვერსიის“ სტილი არ არის.

ახლახან კი შევიტყვეთ, რომ დიმიტრი მეჭურჭლიშვილი, დირექტორის თანამდებობიდან, ფინანსური დარღვევების გამო გაათავისუფლეს, რომელიც №116 სკოლაში განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურმა აღმოაჩინა.

მეჭურჭლიშვილი დღემდე ამტკიცებს, რომ მის სკოლაში შიდა აუდიტის სამსახურის შეშვებით, განათლების მინისტრმა „შტურმი“ განახორციელა და ეს პოლიტიკური დევნის გაგრძელებაა. თუმცა, როგორც გავარკვიეთ, სკოლაში განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური კონკრეტული საჩივრის საფუძველზე შევიდა. „ვერსია“ დაინტერესდა, რა დარღვევები აღმოუჩინეს ყოფილ დირექტორს? რა მდგომარეობა დახვდა მის შემცვლელს სკოლაში? მართლაც გადაიყოლა თუ არა მეჭურჭლიშვილი დავით ფერაძის აქტიურობამ? „ვერსიის“ კითხვებს №116 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნანა ღაჭავა პასუხობს, რომელიც ამ სკოლაში 2004 წლიდან ისტორიას ასწავლის, შიდა სამზარეულოშიც საკმაოდ ჩახედულია და ითხოვს, რომ სკოლის შესამოწმებლად, განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური, ამჯერად, მისი განცხადების საფუძველზე შევიდეს.

— ქალბატონო ნანა, ამ თანამდებობისთვის მაინცდამაინც თქვენ კანდიდატურაზე რატომ გაკეთდა არჩევანი?

— სკოლის კოლექტივმა გადაწყვიტა ამ თანამდებობაზე ჩემი კანდიდატურის წარდგენა. სამინისტროს მიმართეს, რომ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შერჩევა, ადგილობრივი კადრიდან ყოფილიყო. სამინისტრო შემხვედრ წინადადებაზე წამოვიდა და საბოლოოდ, არჩევანი ჩემზე შეჩერდა. ვარ სერტიფიცირებული პედაგოგი. 11 წელია ამ სკოლაში ვმუშაობ. ამავდროულად, გავიარე დირექტორთა შესარჩევი გამოცდები და შესაბამისი სერტიფიკატიც ავიღე. ასევე, გავიარე გასაუბრების მესამე ეტაპი... 23 ივლისიდან ოფიციალურად გადავიბარე სკოლა, ოღონდ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ვარ, რადგან ჩვენი საქმე სასამართლოშია.

2014 წელს, დირექტორის არჩევნების მესამე ეტაპი - გასაუბრება, ჩვენი სკოლის ყოფილმა დირექტორმა, დიმიტრი მეჭურჭლიშვილმა ვერ გადალახა. ჩათვალა, რომ მისი უფლებები დაირღვა და სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რის შემდეგაც სკოლაში არჩევნები შეჩერდა. ბატონი დიმიტრი მიიჩნევდა, რომ ის შიდაფაქტორების, დავით ფერაძის აქტიურობის გამო დაბლოკეს.

ბატონი დიმიტრი, თანამდებობიდან 17 ივლისს გათავისუფლდა. მიზეზი, სამინისტროს შიდა აუდიტის დასკვნა იყო სკოლაში არსებულ დარღვევებზე. მეჭურჭლიშვილი ამბობს, რომ მან ამ საკითხის გამოც შეიტანა სარჩელი და სიმართლეს დაამტკიცებს. თუმცა ფაქტია, დარღვევები აღმოჩენილია. ბატონ დიმიტრის მანამდე გაფრთხილებაც აქვს მიღებული ხარვეზები გამოესწორებინა, მაგრამ როგორც ჩანს, ვერ გამოსწორდა.

— გაფრთხილება რატომ მიიღო და რა დარღვევებია აღმოჩენილი განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ?

— ოფიციალური დოკუმენტი არ მაქვს. როგორც ვიცი, საუბარია ფინანსურ დარღვევებზე, კერძოდ, სარემონტო სამუშაოების ტენდერის გარეშე ჩატარებაზე, თანხების არამიზნობრივად გახარჯვაზე, დაუსაბუთებელი პრემიების გაცემაზე და იმაზე, რომ მეჭურჭლიშვილს საკუთარი შვილი ჰყავდა გაფორმებული სამსახურში უკანონოდ. მეჭურჭლიშვილი ამბობს, რომ ეს არ არის სიმართლე და ამას სასამართლოში დაამტკიცებს. მე კი, მინდა, ზუსტად ვიცოდე, რა ხდებოდა სკოლაში, რა დამხვდა და რას ვიბარებ. ეს ჩემი ინტერესია, ამიტომ ამ თანამდებობაზე მუშაობას ახალი ფურცლიდან ვიწყებ და მინდა, რომ განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური, სკოლაში, შესამოწმებლად ამჯერად ჩემი განცხადების საფუძველზე შემოვიდეს. მინდა, შემოწმდეს 2007 წლიდან დღემდე პერიოდი და თუ რამე დარღვევები აღმოჩნდება, გამოვასწოროთ. კარგი იქნება, თუ ყველაფერს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მოვასწრებთ, რომ პედაგოგებს და ბავშვებს, სკოლაში მშვიდი, მოწესრიგებული გარემო დახვდეთ.

— კოლექტივი როგორ შეხვდა თქვენს დანიშვნას და ყოფილი დირექტორისგან რაიმე პროვოკაციას თუ ჰქონდა ადგილი?

— კოლექტივი ძალიან თბილად შემხვდა. მაპროვოცირებელ ნაბიჯებს მართლაც ველოდებოდით, მაგრამ ასეთი არ მომხდარა. პირდაპირ გეტყვით — პედაგოგებმა მხარდაჭერა გამომიცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ შვებულებაში არიან, მოდიან, მნახულობენ, მეკითხებიან, ხომ არ მჭირდება მათი დახმარება, რომ სკოლა ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს. სიახლეებისთვისაც მზად არიან.

— მეჭურჭლიშვილმა მოგილოცათ თანამდებობა?

— მას არ შევხვედრილვარ. მოვალეობის შემსრულებელი მისი მოადგილე ავტომატურად გახდა. მე სკოლა, მოადგილემ გადმომაბარა.

— დავით ფერაძესაც არ შეხვედრილხართ? როგორც ვიცი, ის აპირებდა, ახალი დირექტორის მოსვლა, აქციით გაეპროტესტებინა.

— დიახ, იყო მუქარა, რომ მშობლები და მასწავლებლები სკოლის პერიმეტრს გადაკეტავდნენ, კარს ამიჭედავდნენ, კაბინეტში არ შემიშვებდნენ, მაგრამ მსგავსი აქცია არ შედგა. მართალია, რამდენიმე მასწავლებელი მოვიდა, მაგრამ ჩემი ამბის საკითხავად და არა აქციაში მონაწილეობისთვის. თავად დავით ფერაძეს შევხვდი. ვუთხარი, რომ ის სკოლაში იმუშავებს ჩვეულებრივად. გავაფრთხილე, რომ ინფორმატიკის კაბინეტიც გადმომაბაროს, მიღება-ჩაბარების აქტი გავაფორმოთ და ვნახოთ რა მდგომარეობაშია ტექნიკა და ინვენტარი.

— ისტორიის მასწავლებელმა რატომ უნდა გადმოგაბაროთ ინფორმატიკის კაბინეტი?

— ინფორმატიკის კაბინეტი დავით ფერაძეს ებარა. თუმცა, როცა ეს ვუთხარი, გაიკვირვა, თითქოს არ იცოდა ამის შესახებ. არადა, საბუთებით ასეა. მას ინფორმატიკის საათებიც ჰქონდა. თუმცა, პედაგოგთა პირადი საქმეების შესწავლის შემდეგ გავარკვიე, რომ მის საქმეში არანაირი საბუთი არ დევს, რომელიც დაამტკიცებს, რომ მას ინფორმატიკის სწავლების უფლება აქვს.

— მისთვის ინფორმატიკის საათების მიცემა და კაბინეტის გადაბარება, დირექტორის მხრიდან დარღვევა არ არის?

— წესით კი, რადგან ასეთი მიდგომით გამოდის, რომ ისტორიკოსს შემიძლია ქიმიის საათებიც მივცე. ვიცი, ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავს, ჩათვლის, რომ პოლიტიკური დევნილია, მაგრამ მერწმუნეთ, ასე არ არის. მას აქვს ისტორიის საათები. არის სერტიფიცირებული მასწავლებელი. ის იმუშავებს სკოლაში ჩვეულებრივ, როგორც ყველა, 85-ვე პედაგოგი, რადგან მას არავინ ერჩის.

— თავად ამბობს, რომ ერჩიან, თანაც განათლების სამინისტროდან. სხვათაშორის, მეჭურჭლიშვილიც აცხადებდა, თამარ სანიკიძე იმიტომ მიპირისპირდება, რომ მისი მითითება არ შეასრულე და ფერაძე სამსახურიდან არ გავუშვიო, ასეა?

— არ ვიცი, მეჭურჭლიშვილს მართლაც უთხრეს თუ არა ასეთი რამ, მაგრამ ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ფაქტებს თუ გავყვებით, ეჭვი მეპარება, ასეთი მოთხოვნა წამოსულიყო. ჯერ ერთი, საათებზე მყოფი პედაგოგის გაშვება არ არის სამინისტროს პრეროგატივა და არა მგონია, უწყებაში დაეშვათ პრეცედენტი, ვინმესთვის ეთქვათ, პედაგოგი გაუშვი თანამდებობიდანო. ყველა ნაბიჯში ჩანს, რომ სამინისტროსთვის კანონი უზენაესია. როდესაც პედაგოგებმა ჩემი კანდიდატურა წარადგინეს, სამინისტრო მაშინვე წამოვიდა შემხვედრ ნაბიჯზე — ეს ადასტურებს, რომ უწყების წარმომადგენლებისთვის, მთავარია კანონიერი ურთიერთობები. არც გასაუბრების დროს მიგრძნია, რომ სამინისტროში ვინმეს მიმართ ინტერესი ჰქონდათ. არც მას შემდეგ ყოფილა ჩემზე რაიმე სახის ზეწოლა. ასე რომ, მეეჭვება, ეს სიმართლე იყოს.

— არც ისაა სიმართლე, რომ ფერაძეს და მეჭურჭლიშვილს კოლაში ტარას შავშიშვილი, მარიამ რამინაშვილი და სხვა პირები სტუმრობდნენ ხოლმე, და სწორედ სკოლაში იგეგმებოდა პოლიტიკური აქტივობები?

— ეს ადამიანები პირადად აქ არასოდეს მინახავს. ამაზე ვერაფერს გეტყვით. მე არ შევსწრებივარ. დაზუსტებით არაფერი ვიცი, ამიტომ ამ ინფორმაციას ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ.

— თქვენი სკოლა, საკმაოდ დიდია. ამდენ პედაგოგში, მეჭურჭლიშვილსა და ფერაძეს დასაყრდენი არ ჰყავთ? ფინანსური პრობლემები გასაგებია, მაგრამ თავად პედაგოგები რით იყვნენ უკმაყოფილონი?

— ვერ ვიტყვი, რომ უკმაყოფილოები იყვნენ. არც ბატონ დიმიტრის ჰქონია პედაგოგებთან ცუდი ურთიერთობა. უბრალოდ, პედაგოგები, მუდმივად დაძაბული გარემოთი დაიღალნენ. ჩვენი სკოლის გარშემო სულ სკანდალი იყო. საკმაოდ ბევრი სერტიფიცირებული პედაგოგი გვყავს. მასწავლებლები თავის საქმეს აკეთებენ, მაგრამ მათ მშვიდი გარემო სჭირდებათ. არავის სიამოვნებს, მუდმივად დარღვევებზე რომ არის საუბარი. ასეთი ნეგატიური ინფორმაცია, მშობლების ყურამდეც აღწევს. სკოლას სახელი უტყდება და ეს, პედაგოგზეც მოქმედებს. ჩემზეც მოქმედებდა. სხვათაშორის, გული დამწყდა, ცოტა ხნის წინ მეჭურჭლიშვილის ინტერვიუ წავიკითხე, სადაც ამბობდა, „მდევარი“ სკოლა ჩავიბარე, სადაც 900 ბავშვი იყო და რაოდენობა შემდეგ გაიზარდაო. არაა ასე. დღეს სკოლაში 1199 ბავშვია და დაახლოებით ამდენი იყო მაშინაც, როცა ბატონი დიმიტრი მოვიდა დირექტორად. ბატონი დიმიტრის წინამორბედი იყო მედეა ლორთქიფანიძე. მას სკოლა ჰქონდა სრულ წესრიგში. ეს ძალიან კარგი ტრადიციების სკოლაა და დიმიტრი მეჭურჭლიშვილმა, საკმაოდ ძლიერი დაწესებულება ჩაიბარა. მას თითქმის არ დახვედრია ისეთი პრობლემები, როგორიც, მაგალითად მე დამხვდა.

— თქვენ რა პრობლემები დაგხვდათ?

— მაგალითად, პირველკლასელთა ჩარიცხვა უნდა მომხდარიყო ივლისის დასაწყისში და რეგისტრაცია ჯერაც არაა დასრულებული. რადგან უკვე ავიღე პასუხისმგებლობა, შაბათს ვიჯექი და პირველკლასელთა ბრძანებებს თავად ვტვირთავდი, ელექტრონულ ვერსიას ვამზადებდი. გარდა ამისა, ვერაფრით გამოვიყვანე სამსახურში მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, რომ ჩავიბარო ინვენტარი. ეს პიროვნება ავად ყოფილა. მას ორი თვის წინ დაუწერია განცხადება და შვილი გაუფორმებია მის ადგილას, რომელიც სხვაგან მუშაობს, დილიდან საღამომდე სამსახურშია და არ სცალია. იურისტებთან უნდა გავიარო კონსულტაცია, რა ზომები მივიღო ამ მიმართულებით. მუშაობას ახლახანს შევუდექი და არ ვიცი, ასეთი კიდევ რამდენი სახის „სიურპრიზი“ დამხვდება.

— ქალბატონო ნანა, პირველ რიგში რას შეცვლით სკოლაში?

— პედაგოგებს ყველანაირად მხარში დავუდგები. ჩვენს სკოლაში არ ყოფილა ტრენინგები ახალ სქემასთან დაკავშირებით. მასწავლებლები სქემის საქმის კურსში არ იყვნენ, რადგან სკოლა სამინისტროსთან არ თანამშრომლობდა. ვეცდები, პედაგოგებისთვის ეს არ იყოს მოულოდნელობა. მეც ჩავერთვები ამ პროცესში, რადგან არ ვაპირებ პედაგოგიური საქმიანობის შეწყვეტას. მინდა, სექტემბრამდე ისეთი გარემო შევქმნა, რომ მასწავლებელმაც და მოსწავლემაც იცოდეს, რომ მოდის ჯანსაღ გარემოში, კარგ სკოლაში, სადაც ყველაფერი მოწესრიგებულია.

ვერსიანიუსი

„სოციალურად დაუცველი პროგრამის მიღმა დარჩენილ მარტოხელა პენსიონერებს, საარსებო შემწეობები აღუდგებათ“

მარტოხელა პენსიონერებისთვის, რომლებიც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შეფასების პროგრამის მიღმა დარჩნენ, საარსებო შემწეობის აღდგენის საკითხი მინისტრთა კაბინეტმა მთავრობის სხდომაზე განიხილეს. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით, მარტოხელა პენსიონერებს, კომპენსაციის სახით, ასევე აუნაზღაურდებათ თანხა, რომელიც უნდა მიეღოთ იმ თვეების განმავლობაში, როდესაც შემწეობის მიღება შეჩერებული ქონდათ. მთავრობის მეთაურმა პროექტის მომზადებისთვის ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შეფასების ახალმა პროგრამამ, რომელიც მაისიდან დაიწყო, ხელისუფლებას საშუალება მისცა, მრავალსულიანი და მრავალშვილიანი ოჯახების საჭიროებები უფრო ნათლად დაენახა და გაეანალიზებინა: **„2012 წლიდან შეფასების მეთოდოლოგია არაერთხელ გაუმჯობესდა და ჯანდაცვის სამინისტრო მის კიდევ უფრო დახვეწაზე მუდმივ რეჟიმში მუშაობს“.**

„პირველი“

1.შოლტი, რომელსაც იყენებენ ცირკში
2. სამოქალაქო ან სამხედრო სამკურნალო დაწესებულება
3.გ ზატ-კეცილი, მარაგზა
4.ცხოველთა თავდაცვითი შეგუების ფორმა
5. ზღა-პრული სიმდიდრის ქვეყანა
6. მკვახე ყურძენი
7.მედიცი-ნის დარგი, სწავლობს თვალს
8. რომის ერთ-ერთი ბორცვი
9.აკრძალვა პირველ-ყოფილ ხალხებში
10. მდინარე ციმბირში
11. ღვინის ობი
12. „ბარ-სელონას" თავდამ-სხმელი
13.ყველაზე ცივი სოფელი დედამიწაზე
14. აიდას სატრფო ვერდის ოპერაში
15. ისლამ. ტერორისტ. ორგა-ნიზაცია
16. ლენო-ნის ქვრივი იოკო ...
17. აღტაცების შეძახილი იტალიაში
18.ქიმიური ელემენტი, მძიმე მეტალი
19. ქარ-თული მი-თოლოგიის ღვთაება
20. ოსის წინაპარი
21. მუს-ლიმანთა წმინდა წიგნი
22. ქვეყანა ჩრდილოეთ აფრიკაში
23. სამაგიდო თამაში
24. ოსური ცეკვა
25. მნიშ-ვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
26. დონ კიხოტის ნამდვილი სახელი
27. მძიმე ინფექცი-ური დაავადება
28. სუსტი ქარი, ნიავი
29. ქართული ხალხური სიმღერა
30. რუსი საბჭოთა ფიზიკოსი
31. ქართული ხალხური ზღაპარი
32.კორეული ავტომარკა
33.ჯეუჯა კამეჩი
34. იგივეა, რაც თაღი
35. წიწვოვანი ხე, იგივე იტალიური ფიჭვი
36. ველური ვარდი
37. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი
38. ოქრო-ქსოვილი ხავერდი
39. ინდონეზიის კუნძული
40.მთის წაწვე-ტებული მწვერვალი
41. ათენის საფეხბურო კლუბი
42.ქალთა აცხ. ნაწილი ძვ. სპერმ. სახლში
43. ძაფისებ. წანაზარდი ადამიანის თავზე
44. აშშ-ის ტელეპრე-მია
45. თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
46. ფრანგი კომიკოსი ... დე ფიუნესი
47. თქმულება ღმერთების შესახებ
48. სოფე-ლი ონის რაიონში
49. ხმადაბლა - მუსიკაში
50. სამხრეთ აზიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მდინარე
51. რომის პაპის გვირ-გვინი
52. ჩინური მსუბუქი იალქნიანი გემი
53. სპორტული ნავი
54.ჰოლივ. მსახიობი ... გარდნერი
55. თვით-მფრინავის საწვავი
56.ჩინურ-იაპონური შაში
57. ღრმა ჭრილობა
58. ეკლიანი ბალახი
59. სუმოისტ ცაგურიას ფსევდონიმი
60. ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრები ინდიელი ხალხი
61. მეფე ოპერა „აბესალომ და ეთერში"
62. ჩიტის „საცხოვ-რებელი"
63. იუპიტერის თანამგზა-ვრი
64.ინდოე-ლი ხალხის სულიერი ლიდერი



ჩიფსი გონებრივ განვითარებას აფერხებს

ბრიტანელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რატომ არ შეიძლება ბავშვებისთვის ჩიფსის ჭამა. გარდა იმისა, რომ ეს ხრაშუნა საკვები ცუდად მოქმედებს კუჭზე, აღმოჩნდა, რომ ბავშვის გონებრივ განვითარებასაც აფერხებს. გამოკვლევაში 3-დან 4 წლამდე პატარები მონაწილეობდნენ, რომლებიც რეგულარულად მიირთმევდნენ ჩიფსს. ფსიქოლოგიური ტესტების შემდეგ სპეციალისტებმა გამოავლინეს კარტოფილის მავნე გავლენა. აღმოჩნდა, რომ ასეთი ბავშვები ძალიან ნელა ფიქრობენ, მეხსიერებისა და ყურადღების დარღვევები აღენიშნებათ და გარდა ამისა, ცუდი ქცევით გამოირჩევიან. საქმე ის არის, რომ ჩიფსი შეიცავს ელემენტ აკრილამიდს — უძლიერეს კანცეროგენსა და მუტაგენს, რომელსაც პოლიმერების — პოლიაკრილამიდების წარმოებაში იყენებენ. სწორედ ეს ნივთიერება აფერხებს ბავშვის განვითარებას, თანაც შეუქცევადად, ამიტომ მკვლევარები გვირჩევენ, პატარებს, 4 წლამდე მაინც არ მივცეთ საერთოდ ჩიფსი. მათი ჭამა არ არის რეკომენდებული ორსულებისთვისაც.

„ჭკვიანი" თერმომეტრი მშობლებს გაალვიძებს

რუსმა სწავლულებმა ინტელექტუალური სამედიცინო თერმომეტრი შექმნეს, რომელზე მუშაობაც სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ უნიკალურ გაჯეტს შეუძლია ღამით გააღვიძოს მშობლები, თუკი ბავშვს სიცხემ აუწია. თერმომეტრის მონაცემები „ბლუთუზით" გადაეცემა სმარტფონს. თავად სიცხისმზომი კი ბავშვის სხეულზე სამაჯურივით მაგრდება. ტელეფონი მშობლებს ატყობინებს, როცა ბავშვის ტემპერატურა კრიტიკულ ზღვარს გადააბიჯებს. გარდა ამისა, აქვს პროგნოზირების ფუნქციაც, რომლის მიხედვითაც შეიძლება შემცირდეს სიცხის გაზომვის დრო, მონაცემთა გაანალიზების შესაძლებლობა და მისი გაგზავნა ელექტრონულ ფოსტაზე. ახალი ინტელექტუალური სამედიცინო თერმომეტრი შექმნასა და მის ბაზარზე გატანას გეგმავს ნოვოსიბირსკის აკადემიის ერთ-ერთი კომპანია.

ძაღლებს შუადღეს ყეფა აუკრძალეს

იტალიის პატარა ქალაქ კონტრონეს მერმა ნიკოლა პასტორემ ძაღლებს ყეფა აუკრძალა შუადღის ძილის — სიესტას დროს. ქალაქისთავს მობეზრდა, რომ ოთხფეხების ყეფა ხელს უშლის ადგილობრივების სადილის შემდგომ დასვენებას. აკრძალვა მოქმედებს დღის 2-დან 4 საათამდე. ამ განკარგულების დამრღვევი ძაღლების პატრონებს 25-დან 500 ევრომდე ჯარიმა ელით. რა გზით უნდა გააჩუმონ ძაღლების მფლობელებმა თავიანთი ოთხფეხა მეგობრები, განკარგულებაში მითითებული არ არის. აღსანიშნავია, რომ აკრძალვა ღამის საათებშიც მოქმედებს. სიესტა, რომელსაც იტალიის ზოგიერთ რეგიონში „რიპოზოსაც" უწოდებენ, საკმაოდ პოპულარულია ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, სადაც ჰაერის ტემპერატურა ზაფხულში საკმაოდ მაღალია. ზოგან სიესტის დროს მუზეუმები, ტაძრები იკეტება და ბიზნესიც კი ჩერდება.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	8		1			4		
4				8	7			
						2	8	7
3			7			6	5	
9				3				8
	5	8			1			3
1	9	5						
			8	1				5
		3			6		7	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

					5			
				2	1		9	
3	1	4	7				5	
		8	6				1	7
		7				9		
2	5				7	3		
	7				3	4	6	9
	6		1	7				
			9					

ᲠᲗᲣᲚᲘ

3			9					7
2		5						
	9	8	2		4			
					6	5		
8		6		3		9		1
		1	5					
			6		9	1	5	
						7		3
5					7			9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	6							
					7			6
1	4	9	6		2	5		
					9		1	
4				1				3
	7		5					
		5	3		8	1	6	4
6			2					
							7	5

სმარტფონის დატენვისთვის დააპატიმრეს

ბრიტანეთის დედაქალაქში მამაკაცი იმის გამო დააპატიმრეს, რომ მატარებელში სმარტფონს ტენიდა. 45 წლის ბრიტანელს ბრალი ელექტროენერგიის მოპარვაში დასდეს. როგორც ჩანს, მგზავრი არ ელოდა, რომ ტელეფონის დატენვისთვის პატიმრობა დაემუქრებოდა და პოლიციელების დარწმუნებას ცდილობდა, რომ საშინელი არაფერი ჩაუდენია. ამ გაუგებრობას სამართალდამცავებთან ხელჩართული ჩხუბიც მოჰყვა. დენის ქურდი კინწისკვრით ჩასვეს პოლიციის მანქანაში და ელექტროენერგიის მოპარვასთან ერთად, მის ბრალდებას აგრესიული ქცევა და სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის გაწევაც დაემატა. დაკავებული ყველაფერს ჯიუტად „აბსურდს“ უწოდებს, თუმცა სატრანსპორტო პოლიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მამაკაცმა არ გაითვალისწინა აბრა, რომელიც იუწყებოდა, რომ იქ დენით სარგებლობა მხოლოდ დამლაგებლების მოწყობილობებისთვის არის გათვალისწინებული. ნისლიან ალბიონზე ელექტროენერგიის ქურდობაზე კანონი 1968 წელს მიიღეს და ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ქალის მეხსიერება აღნაგობაზეა დამოკიდებული



ამერიკელი მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქალის აღნაგობაზეა დამოკიდებული, რამდენად კარგი მეხსიერება აქვს. მკვლევარებმა სხვადასხვა ტესტის ჩატარების შემდეგ აღმოაჩინეს, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები, რომელთაც ვაშლის ფორმის სხეული აქვთ, საუკეთესო შედეგებით გამოირჩეოდნენ, ვიდრე მსხლის ფორმის სხეულის მქონე ქალები. კვლევაში 65-დან 79 წლამდე ასაკის 8745 მანილოსანი მონაწილეობდა. მათ აძლევდნენ ტესტებს დამახსოვრებაზე, რომელსაც ექიმები იყენებენ პაციენტის ტვინის აქტიურობის ხარისხის დასადგენად. სწავლულები მიიჩნევენ, რომ ცხიმი მუცლის მიდამოში ააქტიურებს ქალურ ჰორმონ ესტროგენს, რომლის რაოდენობაც ორგანიზმში მენოპაუზის შემდეგ მცირდება. ესტროგნი კი იცავს ტვინს ნაადრევი დაბერებისგან.

A ვიტამინი სიმსივნეს აჩენს

A ვიტამინი დიდი ხანია მედიკოსებისთვის ცნობილია, როგორც ძლიერი ანტიოქსიდანტი, ეს უკანასკნელი კი ორგანიზმს თავისუფალ რადიკალებთან ბრძოლაში ეხმარება და ონკოლოგიური დაავადებებისგან გვიცავს. ამის მიუხედავად, ბრიტანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ a ვიტამინისშემცველი დანამატების მიღება სრულიად საპირისპირო ეფექტს იძლევა. ადამიანის ორგანიზმში A ვიტამინი გარდაიქმნება ორგანოების ჯანმრთელობისთვის აუცილებელ ბეტა-კაროტინად. ბუნებრივი სახით ის გვხვდება ფოთლოვან ბოსტნეულსა და სტაფილოში. გარდა ამისა, ეს ვიტამინი შედის, პრაქტიკულად, ყველა ვიტამინურ კომპლექსში. პრეპარატებიდან წარმოებული ბეტა-კაროტინი, როგორც აქამდე მიაჩნდათ, ძალიან სასარგებლოა მწეველებისთვის — მისი მიღებით ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობა კიბოს უჯრედების მიმართ იზრდება. დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტის სპეციალისტებმა შეამოწმეს, რამდენად შესაძლებელია ბეტა-კაროტინის ბაზაზე საკვები დანამატის შექმნა, რომელიც ონკოდაავადებებს გაუმკლავდება. მათი 8-წლიანი ექსპერიმენტი კრახით დასრულდა. აღმოჩნდა, რომ ხელოვნური სახით, ეს ვიტამინი სხვაგვარად მოქმედებს — ზრდის ონკოლოგიურ დაავადებათა რისკს. მაჩვენებლები ექსპერიმენტის მონაწილეებში 25%-თ გაიზარდა, რის გამოც სასწრაფოდ შეწყვიტეს ცდები. სპეციალისტები გვირჩევენ, დიდი A ვიტამინი მხოლოდ ბუნებრივი სახით საკვებიდან მივიღოთ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4	3	6	9	5	2	1	8	7
2	9	1	7	8	6	5	4	3
5	8	7	4	3	1	2	9	6
7	6	8	5	1	4	3	2	9
3	5	9	6	2	8	7	1	4
1	4	2	3	7	9	8	6	5
9	2	3	1	6	7	4	5	8
8	7	4	2	9	5	6	3	1
6	1	5	8	4	3	9	7	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

9	6	5	8	3	2	7	1	4
2	4	8	9	1	7	6	5	3
1	7	3	6	5	4	9	2	8
8	5	7	1	2	6	4	3	9
3	2	1	7	4	9	8	6	5
6	9	4	3	8	5	2	7	1
7	8	6	5	9	3	1	4	2
5	1	2	4	7	8	3	9	6
4	3	9	2	6	1	5	8	7

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	5	3	9	2	7	1	8	6
6	2	1	3	8	5	9	7	4
8	9	7	4	6	1	3	5	2
3	6	8	2	7	4	5	1	9
9	1	2	8	5	3	6	4	7
7	4	5	6	1	9	2	3	8
1	3	6	7	4	2	8	9	5
5	8	4	1	9	6	7	2	3
2	7	9	5	3	8	4	6	1

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7	9	3	6	2	5	4	8	1
8	4	6	1	7	9	5	3	2
5	2	1	8	4	3	7	6	9
6	7	5	3	1	2	9	4	8
4	1	2	9	8	7	3	5	6
3	8	9	5	6	4	2	1	7
2	6	7	4	3	1	8	9	5
1	5	4	2	9	8	6	7	3
9	3	8	7	5	6	1	2	4

მე-13 გვერდი: 1. ედელვაისი; 2. ალონიმი; 3. ერგი; 4. ენდემი; 5. ვოლანი; 6. ლევიათანი; 7. ნორმანები; 8. მონა; 9. პლუტონი; 10. იმამატი; 11. ლადოგა; 12. ვერონა; 13. დონატელო; 14. კიტო; 15. ლომი; 16. დაკა; 17. ნომი; 18. ნოტი; 19. ტომატი; 20. აკორდეონი; 21. ეტი; 22. ნევა; 23. ბათო; 24. აკიდო; 25. რეკვიზიტი; 26. თილისმა; 27. ნინო; 28. რონალდ რეიგანი; 29. კოკაინი; 30. „ზიპო“; 31. ოლეანდრი; 32. ნეტო; 33. ბადრი; 34. ოლე; 35. გეა; 36. „ვიაგრა“; 37. სოფა; 38. ნეკროპოლი; 39. კოლოსი; 40. სანდი; 41. ლაიმი; 42. რაიანი; 43. თინუსი; 44. მადიარი; 45. ჰევეა; 46. „ოდოია“; 47. ლობიო; 48. ფა; 49. რიონი; 50. ანონსი; 51. მათარა; 52. ოდა; 53. ერა; 54. ფირმანი; 55. მაიკო; 56. გეგი; 57. პავლე; 58. როტარუ; 59. დენდი; 60. იაქი; 61. იეტი; 62. არნო;' 63. ეკიუ; 64. უატი; 65. ნისია; 66. ინგა; 67. ქაოსი; 68. კლეი; 69. სკა; 70. ლია; 71. ლეია; 72. ლევ; 73. გიუისი; 74. ანა; 75. სორო; 76. ლი; 77. ნოსტე; 78. კატაი; 79. ნიუ; 80. რაეო; 81. იაკი; 82. რუ; 83. ნარიტა; 84. ტარიელი; 85. ილი; 86. იელი.

ცრემლები ახალგაზრდობას გვინარჩუნებს

ცოტა ხნის წინ სწავლულებმა ნისლიანი ალბიონიდან სპეციალური კვლევა ჩაატარეს და საინტერესო დასკვნამდე მივიდნენ. აღმოჩნდა, რომ ათწუთიანი ტირილი მთელი თვის დაძაბულობას ხსნის. ეს ვრცელდება არა მხოლოდ სუსტი სქესის წარმომადგენლებზე, არამედ მამაკაცებზეც, რომელთაც ცრემლების გამოჩენა ესირცხვილებათ და დამამცირებლად მიაჩნიათ. კვლევებმა ისიც აჩვენა, რომ კაცებთან შედარებით, ქალები ფიზიკურ ტკივილსაც ბევრად ადვილად იტანენ დ აქ მნიშვნელოვან როლს სწორედ საჭირო მომენტში ტირილის უნარი ასრულებს. ცრემლები ამსუბუქებს ფიზიკურ ტკივილს და ერთგვარ წამლადაც გვევლინება სულიერი განცდის დროს. სპეციალისტების თქმით, ცრემლი დიდი რაოდენობით შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც პოზიტიურ გავლენას ახდენს სახის კანზე, ალერგიისა და ანთების საწინააღმდეგო საშუალებადაც ითვლება. სპეციალისტები ამბობენ, რომ სწორედ ამის გამო, მტირლა ქალები შედარებით გვიან ბერდებიან.

1. საშშობლოს მტრებთან თანამშრომლობა
2. სპეციალურად მოწყობილი ადგილი ცხენოსნობაში შესაჯიბრებლად
3. ყველასათვის საყვალდებულო წესი
4.უძვ. დასახლება თანამედროვე პარიზის ტერიტორიაზე
5. არყის გამყიდ. „მშრალი კანონის“ დროს აშშ-ში
6. გიორგობისთვე
7. წმინდა ნინოს მა-მის სახელი
8. ჩეჩნეთის რესპუბლიკა ...
9. თოვლის ჯიქი
10. ქიმიური ელემენტი, ლითონი
11. მორის რაველის ცნობილი ნაწარმოები
12.ბოთლებში ჩამოსხმული ღვინის საცავი
13. ქართული ხალხური ზღაპარი
14.რუსეთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი
15. ლენონის ქვრივი იოკო ...
16. ივივეა, რაც მინანქარი
17. საგანგებოდ გამხმარი ხილი
18. ივივეა, რაც ტუჩი
19. მუსლიმანთა სამარხვო თვე
20.ვინმეზე ჩამოყალიბებული აზრი, რეპუტაცია
21.აშშ-ის ტელეპრემია
22.ფილმის ნაწილი
23. ფრანგული ავტომარკა
24. დაბალი ფასის მქონე
25. ივივეა, რაც უსინათლო
26. თქმულება ღმერთების შესახებ
27.სახალხო პოეტი მომღერალი შუა აზიაში
28. ბრიტანეთის ტახტის ერთ-ერთი მემკვიდრე
29. საქართველოს ტრაგიკ. დაღუპული პრემიერი
30. რემბრანდტის შშობლიური ქალაქი
31. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
32.ირანის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი
33. კავკასიის ხალხების ცეკვა
34. ავი სული, ეშმაკი ყურანში
35. მარცვლოვანთა ოჯახის ერთწლოვანი მცენარე
36. შიშველი სხეული ფერწერაში
37. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
38. (ძვ.) ძვირფასი საჩუქარი
39. სიმინდის „პერი“
40. სასიგნალო ტივტივა წყალზე
41. იაპონელთა ტრადიციული სასმელი
42. სანთლის მსგავსი ნივთიერება
43. ღორის ნაშიერი
44. ტბა ფინეთში
45.ებრაელთა სამეფო
46.აზერბაიჯ. დედაქალაქი
47. ქალაქი სომხეთში
48. მარკ ტვენის ტომ ...
49.სულიერი მოძღვრის ტიტული ინდუიზმში
50. სირაქლემას მსგავსი ფრინველი
51. ჯერკვლოვანი ორგანოს კეთილთვისებიანი სიმსივნე
52. ხურდა ფული ირანში
53.უმაღლესი კასტის ყარიმომადგენელი ინდოეთში
54. ცხვირით აღქმული შეგრძნება
55. აზერბაიჯანის პრეზიდენტი ... ალიევი
56.ტიბეტურ-რი ხარი
57.პურინის ოპერა
58. ხარკი ნატურით მეფის რუსეთში
59.ფრანგი კომპოზიტორი, ოპერა „ნორმას“ ავტორი
60. მუსლიმანთა სიწმინდე მექაში
61.პირენეის მთების უმაღლესი მწვერვალი
62. გვადი ბიგვას ერთ-ერთი ვაჟი
63. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი
64. გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი
65. პურეულის ნამჯის ნალეწი
66.ფრანგი კომპოზიტორი ფრენსის ...
67.პერსევსის დედა ბერძნულ მითოლოგიაში
68. ფრანგი ნობელიანტი მწერალი
69.სიტყვების ამოცნობაზე აგებული გასართობი
70. ანიკოს პირველი ქმარი ფილმში „სიყვარული ყველას უნდა“
71. ცნობილი ბრიტანელი ვირტუოზი მევიოლინე ვანესა ...
72. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი
73.ჭურჭელი, რაშიც ყავას აკეთებენ
74. დიდი ტროპიკული ფრინველი
75. მდინარე ლონდონში
76. საზღვარი, მიჯნა
77. მადამ ბოვარის სახელი
78. „მერე რა, რომ სველია, სველი ...“
79. მაწვნის პროდუქტი
80. შვიდდღიანი მონაკვეთი ძველ ქართულში

მოზარდმა ალცჰეიმერის აღმომჩენი ტესტი გამოიგონა

ბრიტანელმა მოსწავლემ კრტინ ნითიანანდამმა ალცჰეიმერის დაავადების გამოვლინების ტესტი შეიმუშავა, რომელიც მის დიაგნოსტირებას დაავადების სიმპტომების გამოვლენამდე 10 წლით ადრე ახდენს. დღეისთვის ალცჰეიმერის აღმოჩენა მხოლოდ კოგნიტიური ტესტების სერიების ან ტვინის შესწავლის შედეგად ხდება. 15 წლის მოზარდმა ე.წ. ტროას ცხენი შექმნა ანტისხეულებისგან, რომელსაც თავის ტვინში შეღწევა და ნეიროტოქსიკურ ცილებთან მიერთება შეუძლია. ეს ცილები დავადების ძალიან ადრეულ სტადიაზე უკვე არსებობს. ამ ანტისხეულებს, რომელიც ადამიანის ორგანიზმში შეიძლება სისხლის მეშვეობით შევიყვანოთ, ფლუორესცენტულ ნაწილაკებს მიამაგრებენ და მისი აღმოჩენა ტვინის სკანირებისას ადვილად მოხდება. რაც უფრო ადრე შეიტყობს ადამიანი ალცჰეიმერის დავადების შესახებ, მით მეტია მისი განკურნების შანსი.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.